# ბედი ქართლისა

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

„LE DESTIN DE LA GÉORGIE"

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16e). Tél.: Passy 75-35.

№ 3 — 23 დეკემბერი — 1948 — 23 DECEMBRE — № 3

2633/09
1948



პროფ. მიხეილ წერეთელი მისი სამოცდაათი (70) წლის შესრულების გამო

# პროფ. მიხეილ წერეთელი

23 დეკემბერს შესრულდა 70 წელი ჩვენს დიდ მამულიშვილს და მეცნიერს მიხეილ წერეთელს.

იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი მისი მოღვაწეობა ნახევარ საუკუნის მანძილზე, როგორც სამეცნიერო ისე ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე, რომ ამის ვრცლად გადმოშლა „ბედი ქართლისას" ფურცლებზე შეუძლებელია. უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მისი ცხოვრების მთავარი მომენტთა აღნიშვნით.

მიხეილი დაიბადა 23 დეკემბერს 1878 წელს სოფ. ცხრუკვეთში, ზემო იმერეთში. ამ სოფლის წერეთლების ოჯახში, განსაკუთრებით მიხეილის მამისა და მისი ორი ძმისა, დიდი ტრადიცია იყო დაცული ქართული მწიგნობრობისა და საზოგადოდ ქართველობისა. „ვეფხის ტყაოსანი" იქ კაცმა და ქალმა ზეპირად იცოდა, და პატარა მიხეილს, ჯერ კიდევ წერა-კითხვის არ მცოდნეს, ადგილები მოჰყავდა „ვეფხის ტყაოსანიდან" სტუმრების შესაქცევად.

ქ. ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ წერეთელი სწავლობდა კიევის უნივერსიტეტის ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე, საიდანაც 1900 წ. პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის გამორიცხულ იქმნა. ერთი წლის შემდეგ მიხეილი შედის პარიზის უნივერსიტეტში, მაგრამ არც აქ სწყალობს მას ბედი: ერთს საჯარო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის იძულებულია დასტოვოს პარიზი და გადავიდეს ლონდონში. შემდეგ ის განაგრძობს სწავლას ჟენევის უნივერსიტეტში, ამავე დროს უერთდება პარიზში მყოფ გ. დეკანოზიშვილის ჯგუფს და 1904 წ. ესწრება ფედერალისტთა პარტიის კონგრესს ჟენევაში. იმავე წელს გ. დეკანოზიშვილის დავალებით მიხეილი მიემგზავრება საქართველოში, ასრულებს დაკისრებულ მისიას და ბრუნდება უკან. 1905 წ. იგი ისევ საქართველოშია და მუშაობს ფედერალისტებთან ერთად.

1908 წ. მიხეილ წერეთელი აწარმოებს მუშაობას სტამბოლში დიდი გავლენისა და მდგომარეობის მქონე მაჰმადიან ქართველებთან, რომელთაგან ბევრმა დიდი დახმარება გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, როდესაც იგი პირველი დიდი ომის დროს ოსმალეთში მოქმედებდა. იმავე წელს მიხეილი ბრუნდება ტფილისში და პეტრე სურგულაძესთან, ვალერიან გუნიასთან და სხვებთან ერთად აარსებს საიდუმლო ჯგუფს საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომლის ორგანო იყო „ერი" და რომელიც ცენზურისაგან ხშირად დახურული სხვადასხვა სახელით გამოდიოდა.

1910 წ., როდესაც დიდი დევნა იყო ქართველ ნაციონალისტთა და ბევრი მამულიშვილი გადაასახლეს რუსებმა, მიხეილი მიდის ლონდონში, პ. სურგულაძე კი ჟენევაში, სადაც მან ძმ. კერესელიძეებთან ერთად განაახლა დამოუკიდებლობის ჯგუფი და გამოსცა გაზეთი „თავისუფალი საქართველო".

ლონდონში ყოფნის დროს მიხეილი იწყებს აღმოსავლეთის მეცნიერების შესწავლას, რასაც განაგრძობს გერმანიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. აქ ის ეცნობა ასირიოლოგიას, საზოგადოდ სემიტურ ფილოლოგიას, ეგვიპტოლოგიას, აღმოსავლეთის ისტორიას და კულტურას; ამთავრებს სწავლას და ღებულობს დოქტორის ხარისხს.

1914 წ., ომის გამოცხადებისთანავე „დამოუკიდებლობის ჯგუფი" გაცხოველებულ მუშაობას იწყებს, არსდება დამოუკიდებლობის კომიტეტი, სადაც მ. წერეთელი დიდ როლს თამაშობს. გერმანიაში მოქმედებენ მასთან ერთად გ. მაჩაბელი და გ. კერესელიძე. დანარჩენნი წევრები კომიტეტისა მუშაობენ ოსმალეთში.

1916 წ. ლოზანაში იმართება „ეროვნებათა კავშირის" კონგრესი. იქ მიხეილია საქართველოს წარმომადგენელი.

1917 წ., ომის ქარტეხილის დროს, მ. წერეთელი მიემგზავრება საქართველოში წყალქვეშა ნავით მელიტონ ქარცივაძესთან ერთად სხვა და სხვა დავალებებით. ერთი წლის შემდეგ ხელმეორედ მიდის იგი ისევ წყალქვეშა ნავით სამშობლოში.

1918 წ. საქართველო თავისუფალია, გერმანიაში ჩამოდის მისი დელეგაცია და აქ თავდება მუშაობა დამოუკიდებლობის კომიტეტისა.

1918 - 1919 წ. მიხეილს ვხედავთ საქართველოს წარმომადგენლად სკანდინავიაში.

1920 წ. იგი მიწვეულ იქმნა ტფილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორად.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, მიხეილი ბრუნდება ბერლინში; ორი წლის განმავლობაში მას უკავია კათედრა ასირიოლოგიისა

და ქართული ენისა ბრიუსელის უნივერსიტეტში, ხოლო 1933 წლიდან 1943-მდე ბერლინის უნივერსიტეტში—ქართული ენისა და მწერლობისა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, მეგობრების თხოვნით, მ. წერეთელი კისრულობს გერმანიაში ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეობას, რომელშიაც შედიან აგრეთვე განსვენებულნი ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია. მუშაობის პირობები ახლა გაცილებით უფრო რთულია და ძნელი, ვინემ ეს პირველი ომის დროს იყო. კომიტეტი იცავს ღირსეულად და უკომპრომისოდ საქართველოს უფლებებს, ხოლო მიზანს ვერ აღწევს. მიხეილი შლის მას და თავის თანამშრომლებთან ერთად სწყვეტს ყოველგვარ კავშირს გერმანულ ხელისუფლებასთან.

პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად, მიხეილმა საზღვარგარეთ დიდი მეცნიერული მუშაობაც გასწია. ამის შესახებ ჩვენ სხვა დროს გვექნება საუბარი. აქ კი აღვნიშნავთ შემდეგს: როდესაც გამოქვეყნდება ყველა მისი შრომები და გამოკვლევანი, განცვიფრებაში და აღფრთოვანებაში მოვა არა მარტო ემიგრაცია, არამედ მთელი საქართველოც, იმდენად დიდია, ახალი და მნიშვნელოვანი ეს გამოკვლევანი ჩვენი ქვეყნისათვის.

მიხეილი მუდამ არაჩვეულებრივ სიყვარულს და მეგობრობას იჩენდა მეცნიერებისადმი, ხოლო ისიც უნდა აღვიაროთ, რომ მეცნიერებას არასოდეს არ დაუჩრდილავს მისი დიდი პატრიოტული შეგნება მოვალეობისა ერის წინაშე, რომელსაც იგი ყოველთვის ყველაფერზე მაღლა აყენებდა. **„არიან მოვალეობანი ადამიანისა უმაღლესნი ყოველმეცნიერულ და მსგავს მოვალეობათა,** სწერს მ. წერეთელი, **მოვალეობანი მოქალაქისა საზოგადოების წინაშე, მოყვასისა მოყვასის წინაშე და ცხოვრების გზას იგი განვლის სრულის ღირსებით, ვისაც ძალუძს განსაზღვრულ დროს შესაფერი მოვალეობა აღასრულოს, თუ გინდ ეს მოვალეობის აღსრულება მისი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვდეს“.**

სწორედ ამით დაიმსახურა მიხეილ წერეთელმა უსაზღვრო პატივისცემა თანამემამულეთა, რომ სამშობლოს თავისუფლება და წარმატება თავის არსებობის საფუძვლად მიაჩნდა და კლდესავით იდგა ეროვნული აზროვნების სადარაჯოზე. წამებით განვლო მან ნახევარი საუკუნე და ჯოჯოხეთურ პირობებიდან ქართული სიტყვა, ქართული სული გამოიტანა და დაიცვა. ყოველი მისი მოქმედება და ნაბიჯი ამკობს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას.

უფლება აყრილ საქართველოში მისი სიტყვა მეხივით ჰქუხდა და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერგიას აძლევდა. განა შეიძლება სხვა რომელიმე ან ვისიმე სიტყვა შეედაროს მის სიტყვას, რომელიც მან ერის წინამძღოლს და ზრახვათა მფლობელს ილიას, ჩვენი წამხდრობისა და სიგიჟის მსხვერპლს, ტფილისში ჩამოსვენებისას რომ უთხრა?!

დამონებულ სამშობლოში, როდესაც ერი თვით უარს ამბობს თავის თავზე, მიხეილის მძლავრი და მჭრელი წერილები იბეჭდება ფედერალისტების მაშინდელ პრესაში. იგი იცავს ქართულ დევნილ სულს, გამოდის საუკეთესო თეორეტიკოსად ეროვნულ საკითხში, და შეუდარებელი პოლემისტი, მოურიდებლად ამხელს ერის ულირს შვილთ.

მისი წიგნი „ერი და კაცობრიობა“ უდიდესი ყუმბარა იყო, რომელიც მან ეროვნულ იდეის უარმყოფელთ ესროლა. დიდ ილიას მიმდევარმა ერთად ერთ რეალობად **ერი** აღიარა და ეროვნული პრობლემა მეცნიერულად დაასაბუთა. „ერი და კაცობრიობა“ გადაიქცა მებრძოლი თაობის სახელმძღვანელო წიგნად, მის გამწრთვნელად და აღმზრდელად.

მიხეილი საქართველოს სიდიადეს ძველ წარსულში ეძებს, მისი იდეალი არ არის მარტო დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ აღდგენა ძველი საქართველოსი. „ქართველი ერის ძველი სამკვიდრებელი საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველია საქართველოსა და მის მებრძოლთა, ამბობს იგი ერთერთ წერილში, და მიუხედავად იმისა, რომ ის ხან მტერს რჩება, ხან მის კანონიერ პატრონს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ქართველობამაც იკლო და ნაწილი მისი უცხოს ხელშია, **საქართველო მას მაინც დაკარგულად არ სთვლის,** ვერც ჩასთვლის, და მისი დაბრუნება და კვლავ გაქართველება, **შექმნა ძველი საქართველოსი** არის და იქნება მუდმივი მისწრაფება ქართველისა, მუდმივი პოლიტიკური იდეალი მისი, რომელიც მას იძლევს ძალას, სიამაყეს და რწმენას თვისი ერის მომავლისა. ძალა თვით ეს რწმენაა, ეს იდეა ძველი საქართველოს აღდგენისა, უამისოდ თვით საქართველოს იდეა არარაობაა. სინამდვილე რას მოგვიტანს ხვალ, სულ სხვაა, მაგრამ იდეა, იდეალი უკვდავი უნ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

და რჩებოდეს, როგორც ძალა ქართველთა შთამომავლობათა მამოძრავებელი". აი ამ დიად იდეის სამსახურშია მიხეილ წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლე, მას ქადაგებს და იცავს.

უმაღლეს სისრულემდე მიღწეული კულტურის მატარებელი, იგი აგრეთვე უძლიერესად ფაქიზი და სპეტაკი სულის პატრონია. მიუხედავად უძნელეს საარსებო პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ გზა მუდამ ეკლიანი და სიმწარით ალსავსე ჰქონდა, მიხეილი შორსაა ცხოვრების ყოველდღიურ სიტლანქისაგან და სიმახინჯისაგან და დგას ნათელ მაღლობზე ერის ერთგულ მუშაკად და მექომაგედ.

როგორც ვიცით, მეტი ნაწილი თავის ცხოვრებისა მან უცხოეთში გაატარა, მაგრამ იგი მუდამ იყო და დარჩა მესაიდუმლედ ქართველი ერის ტანჯული გულისა.

„მარად და ყველგან საქართველო, მე
ვარ შენთანა,
შენი სისხლითა გული სრულად
გარდამებანა".

მწარეა ხვედრი ქართველ მამულიშვილთა, მაგრამ განსაკუთრებით მწარეა შენი ბედი, საყვარელო მიხეილ!

უცხოეთში, შორს მშობლიურ სახლ-კარიდან, განმარტოვებული ხვდები შენს იუბილეს.

შენი ძვირფასი ერი სალამს ვერ გიძღვნის და შენი დაბადების დღეს ვერ დღესასწაულობს.

ვერც შენი ერთად-ერთი შვილი ოთარი, შენი ხელით სიმწარეში გამოზრდილი, გაგახარებს და დაგიკოცნის სამშობლოსათვის ფიქრით და დარდით დასერილ სახეს.

ჩვენც, შენი ახლო მეგობრები, შორს ვართ შენგან და არ შეგვიძლია გაგათბოთ ჩვენი შენდამი უსაზღვრო სიყვარულით.

**ნუგეშად მაინც მიიღე ის, რომ უცხოეთში მყოფ ქართველმა მოღვაწეებმა ყველა წრისა დიდი პატივისცემით და თბილი გრძნობით 70 წლის შესრულება მოგილოცეს და დღეგრძელობა გისურვეს.**

ერთ დღეს საქართველოც გეტყვის სიტყვას. ბედი ქართლისა ჯერ არ გადაწყვეტილა.

კ. სალია

---

„ბედი ქართლისა" ულოცავს თანამემამულეთ **ქრისტეს შობას** თანვე უსურვებს მათ: **ახალ წელს** მოეტანოს მათთვის ნათელი და სიკეთე.

## მიხეილ წერეთელი

### წერილი რედაქციას „ბედი ქართლისა"

სულით და გულით ვულოცავ **მიხაკო წერეთელს** 70 წლის შესრულებას. ვუსურვებ ამ ასაკის კიდევ დიდ ხანს გაგრძელებას და თავის პოსტზე თავდადებულად გაჩერებას.

ბ. მიხაკოს ვიცნობ დიდი ხანია, ვიცნობ როგორც იშვიათ ქართველ ინტელიგენტს, თავისი იდეალების წმინდათ მატარებელს და საზოგადო საქმიანობაში მუდამ ჩაბმულს, რაც სწამდა და სწამს მას ემსახურება უანგაროთ, აშკარათ და შეუპოვრათ.

თავიდანვე მიხაკოს დროშა იყო და რჩება ქართველი ერის ღორძინება, ამაღლება და საკაცობრიო ოჯახში შეყვანა. მაგრამ ამასთანავე მას მუდამ ქონდა საკაცობრიო იდეალიც, გამომუშავებული გზა-კვალი ერთა თანხმობით ცხოვრების და წინსვლელობის.

მიხაკო თავიდანვე იყო და დარჩა პატრიოტი სამშობლოსი, პატრიოტი კაცობრიობის. ამ ორი მოვალეობის გაერთიანება და მათი საერთო ხაზით მუშაობა, მისი მუდმივი საზრუნავი საგანია.

კრიტიკულ მომენტებში ჩვენ შევხვედრივართ, გვისაუბრია და შეთანხმებული დავშორებულვართ.

კაცი იდეის, რწმენის, ჰუმანიური დროშის — მიხაკო არასოდეს არ მავიწყდება.

ნ. ჟორდანია

22. 11. 48.

---

### პატივცემულო ბატონო რედაქტორო,

სიამოვნებით ვსარგებლობ თქვენი ჟურნალის მომართვით და სხვებთან ერთად მეც გულ მხურვალე სალამს უძღვნი ღრმად პატივცემულ მიხეილ წერეთელს.

ძვირფასია იუბილიარის ღვაწლი ქართულ მეცნიერების დარგში კერძოთ და ჩვენი ერის ღორძინების საქმეში საერთოდ.

სამოცდაათი წელი — და მერმე რა პირობებში განვლილი —, მართალია არ გვაახალგაზრდავებს, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იუბილიარს კიდევ არ უთქვამს უკანასკნელი სიტყვა და მას კიდევ ექნება საშუალება კვლავინდებური თავდავიწყებით ემსახუროს მშობლიურ ერს.

არ შემიძლია ამ მცირე მოლოცვის წერილშიდაც არ აღვნიშნო ერთი რამ, რაზედაც აგებულია ჩემი ბ. მიხეილისადმი პატივისცემა.

ბუნებით უკიდურესი ინდივიდუალისტი, ქვეყნისათვის საფათერაკო მომენტში, ეროვნულ დისციპლინას დამორჩილებული იგი მუდამ საერთო რიგებში იდგა. ასეთი თავის თავზე გამარჯვებას ის მხოლოდ ღრმა, ქვეყნისადმი უანგარო ერთგულებით აღწევდა.

რა დიდი და მისაბაძავი მაგალითია ეს განსაკუთრებით დღევანდელ დღეს!

პატივისცემით

ევგენი გეგეჭკორი

---

დიდათ პატივცემულო

ბატონო რედაქტორო!

გავიგე, რომ თქვენი ჟურნალი ულოცავს ჩვენს მეცნიერს ბატონ მიხეილ წერეთელს მის 70 წლის თავს.

დიდი სიამოვნებით მეც მინდა მიულოცო ეს დღე ჩვენ განთქმულს არა მხოლოდ მეცნიერს, არამედ იმ კაცს, ვინც ჩვენ დროს პირველმა აღმართა დროშა საქართველოს განთავისუფლებისათვის და ისიც იმ დროს, როცა ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

უსურვებ ბატონ მიხეილ წერეთელს, რომ ღმერთმა აღირსოს ნახოს თავის თვალით განთავისუფლებული საქართველო და ისეთი, როგორიც მას ყოველთვის სურდა.

მიიღეთ ბატონო რედაქტორო, ჩემი სალამი და პატივისცემა.

გიორგი კვინიტაძე

---

## ამერიკიდან

ბატონო რედაქტორო!

ამერიკაში მყოფ ქართველებს ცნობა მოგვივიდა, რომ ჩვენ მცხოვან პროფესორს, მიხეილ წერეთელს უსრულდება 70 წ. ამ 23 დეკემბერს. ამ ამბავმა ელვასავით მოიარა დიდი ნიუორკი და მისი ახლო-მახლო გაფანტულ ქართველებში, რომელთა შორის ერთიც არ არის, ვისაც არ გაუგონია „მიხაკო წერეთელი“ და არ იცნობდეს მის ნახევარ საუკუნის ღვაწლს და მუშაობას საქართველოს სასარგებლოდ.

პატარა ერში ნიჭიერ კაცმა თავი რომ გამოიჩინოს არაფერი გასაკვირია. მაგრამ პატარა ერის შვილი რომ ცნობილი იქმნეს უცხოეთში, განათლებულ ევროპაში, დიდ ერებში—ამას დიდი ნიჭიც უნდა და მასთან დიდი ენერგია, დიდი გამჭრიახობა... ბევრი ნიჭიერი და მცოდნე გვყავს, მაგრამ ბევრი მათგანნი არავითარ კვალს არ სტოვებენ ჩვენი ერის ცხოვრებაში, მათი ნიჭი და ცოდნა სამშობლოს-ეკარგება, რაც მეტად სამწუხაროა პატარა ერისათვის.

რომელიმე ერმა რომ საპატიო თუ საგრძნობი ადგილი მოიპოვოს დღეს მსოფლიოში, ის ან უზარმაზარ ზომისა უნდა იყოს ან და ზედმიწევნით მოცადინე, განათლებული, კულტურული... აი ეს თვისებები მეტად საჭირო პატარა ერისათვის მიხეილ წერეთელმა ნახევარ საუკუნის განმავლობაში უხვად უძღვნა საქართველოს. აღებული მიზნის მისაღწევად, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, იგი არ შემკრთალა და უკან არ დახეულა, სანამ დიდი შრომით და მოთმინებით სასურველ შედეგს არ მიაღწია. მაგალითისათვის მოვიყვანთ ორიოდე სტრიქონს მისი უკანასკნელ წერილიდან: „ქართულ ენის ნათესაობის საკითხისათვის“, (ნომერი მეორე, „ბედი ქართლისა“). მცხოვანი მეცნიერი ამბობს: „1913 - 1916 წლ. უფრო ვრცლად გამოვაქვეყნეთ იგივე გამოკვლევა ინგლისურად ბრიტანიის „აზიურ საზოგადოების“ ჟურნალში და შემდეგაც შემთხვევა გვქონდა სხვა და სხვა ენებზედ სხვა და სხვა გამოცემებში ჩვენი აზრი გვეთქვა ქართულისა და სუმერულის ნათესაობის შესახებ. მეცნიერთ ისე ჰქონდათ თავი მობეზრებული, უმრავლესი უნაყოფო შედარებათაგან სუმერულისა სხვა ენებთან, აგრეთვე ბევრი ისე დარწმუნებული იყო მის „თურანულობაში“, რომ ახალ „ქართულ“ თეორიას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. მაგრამ **არც ჩვენ მიგვიქცევია არავითარი ყურადღება მათი უყურადღებობისათვის** და განვაგრძობდით როგორც სუმერულის შესწავლას, ისე ქართულის საიდუმლოებათა კვლევას—განვლო ხანმა და „სუმერული საკითხი“ კვლავ დადგა. მიაქციეს ყურადღება ჩვენ თეორიასაც და შეეცადენ სუმერული ახლა „კავკასიურ“ ენებთან დაეკავშირებიათ...“ აქედან სჩანს: რამდენი შრომა გაუწევია საქართველოსათვის უცხოეთის პრესაში, და რაც უმთავრესია, ყურადღება არ მიუქცევია „მათი უყურადღებობისათვის“ და ბოლოს მიზნისათვის მიუღწევია.

უსურვებთ მას კიდევ ბევრი წლების შრომას სამშობლოს სასარგებლოდ... მაგრამ ერთი საყვედური დიდ მეცნიერს. იმავე წერილში ის ამბობს: „რადგან ჩვენ არც ხნოვანება და არც პირობები საშუალებას აღარ მოგვცემენ განვაგრძოთ ჩვენი ეს შრომა, ვუტოვებთ ანდერძად იმ ახალ-გაზრდა ენათ-მეცნიერთ, რომელთაც ქართულისა და კავკასიურის ძირითა საკითხი აინტერესებს, შეისწავლონ კარგად ასსირიოლოგია, მეცნიერება ლურსმულისა..."

რასაკვირველია, „ანდერძი" კარგია და საჭიროც, მაგრამ არა იმიტომ, რომ „ხნოვანება" საშუალებას არ მისცემდეს შრომის გაგრძელებისა, რადგან ისტორია სავსეა მაგალითებით, რომ ბატონ მიხეილის ხანში და უფრო გვიანაც — ბევრმა იწყო ახლად მუშაობა. აი აქ, ნიუორკში, ეგრედ წოდებულმა „ბებია მოზეს"-მა, 84 წ. ქალმა, ამ წელს სურათების დიდი გამოფენა გამართა. მან პირველად ხატვა დაიწყო როცა ის 74 წლისა იყო. ამ მოკლე ხანში მან შესძლო მეოთხეჯერ მარტო სურათების ვეებერთელა გამოფენა გაემართა... გალილეო იყო 75 წლისა, როცა მთვარის მოძრაობის კანონი აღმოაჩინა. ვოლტერი იყო 83 წლისა, როცა ტრაგედია Irene დასწერა. ვ. ჰიუგო იყო 80 წლისა, როცა მისმა „ტორქვემადა"-მ საფრანგეთი გააკვირა. ტიციანმა თავისი საუკეთესო სურათი „ომი ლეპანტოსთან" დახატა, როცა იყო 98 წლისა და სხვა...

საუკეთესო სურვილები ბატონ მიხეილ წერეთელს ყველა აქაური ქართველებისაგან.

პატივისცემით: **ამერიკის ქართულ საზოგადოების გამგეობა**

---

## ბელგიიდან

რედაქციას „ბედი ქართლისა"

პ ა რ ი ზ ი.

**პატივცემულო რედაქტორო,**

ბელგიის ქართული კოლონიის სახელით მაქვს პატივი შეუერთდე თქვენ ხმას, ბატონი **მიხაკო წერეთლის** 70 წლის აღსანიშნავათ. უსურვებთ დამსახურებულ მეცნიერს და ძვირფასს თანამემამულეს ხანგრძლივ, ნაყოფიერ და ბედნიერ სიცოცხლეს.

ბელგიის ახალშენის წევრებისათვის განსაკუთრებულად სასიამოვნო მოსაგონარია ის დრო, როდესაც ბატონი პროფესორი ჩვენი საზოგადოების წევრი იყო და ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა. იგი ჩვენს ხსოვნაში დარჩა როგორც უსაყვარლესი ადამიანი და უძლიერესი წარმომადგენელი ქართული სიტყვისა და აზრისა უცხოეთში.

გულწრფელი სალამით, ბელგიის ქართული კოლონიის თავმჯდომ.

**ი. ტატიშვილი.**

---

## გერმანიიდან

**ჩვენო ძვირფასო მიხეილ,**

თითქოს გუშინ ყოფილიყოს, ბერლინში 60 წლის თავს რომ გიხდიდნენ შენი მეგობრები და ახლობლები. მრავალი სურვილი და უფრო მრავალი იმედები წარმოითქვა მაშინ...

და აი, ეხლა უკვე შენს 70 წლის თავს ვხვდებით. მაგრამ რამდენმა ამბებმა გადაიარეს ჩვენზედ, სწორედ ამ „გუშინ"-ს აქეთ, რამდენმა იმედებმა გადაგვიქროლეს და ის უკანასკნელი კერაც გაგვინიავეს. ეხლა ვინ იცის — ვის სად წაგვიღებს ცხოვრების ულმობელი ქარიშხალი.

... და უკან რომ ვიხედებით, ნათელ სვეტებად გვრჩებიან მხოლოდ კულტურული და მეცნიერული „ნამუშევარი", მხოლოდ ეს თუ გაამართლებს ჩვენს „აქ ყოფნას"...

და აი, გვინდა დღეს გახაროთ, რომ ამ 10 წლის მანძილზეც მრავალი ასეთი ნათელი სვეტი სჩანს. მიუხედავად ათასგვარ საშინელებათა ამ ათის წლის განმავლობაში, როცა „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა", შენ მაინც შენს შრომას და შენს „ქართლის ცხოვრებას"-ა ერთის წუთითაც არ მოშორებიხარ. და როცა ამ შენს ნაშრომებს სხვებიც დაინახავენ, ჩვენთან ერთად იტყვიან: რა რიგ „გრძელი" და მადლიანი იყო თუნდაც ეს ათი წელიო.

გისურვებთ, რომ 10 წლის შემდეგაც შენითვის იგივე გვეთქვას და გვეთქვას იქ, სადაც ამ ათის წ. წინ დავპირდით — რომ ვეტყოდით...

ეხლა მაინც გვიმართლოს ღმერთმა ეს პირობა!...

იყავ დღეგრძელი.

შენი **თამარ და აკაკი პაპავა**

23 - 12 - 48.

## მიხეილ წერეთლის სადღესასწაულოდ

„რაც უფრო დიდი წყვდიადია, ვარსკვლავნი მეტად კიაფობენ!“

დასტურ კარგი თქმულებაა!..

ჩვენი ქართული წყვდიადი განსაკუთრებულია და ვარსკვლავებიც შეფერებული...

ქართველი ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ერთგვარ ტალანშია მოქცეული. აურიცხელი მტერი, უფრო კი მტერ-მოყვარე, მიდი-მოდიან ჩვენს ვიწროებში. — ამან შეუშალა ხელი ნიჭიერი ხალხის ზრდასა და განვითარებას. სიცოცხლით სავსე პატარა ერი ცდილობს თავის ძალღონე ნაყოფიერ გამოიყენოს და ქვეყნის შემოქმედებას ამსახუროს. სიპატარავე — ეს საშინელი ნაკლი — ხელს უცარავს ყველაფერში. ვერც მწერლობა ვითარდება სასურველად, ვერც მოღვაწე ახერხებს ხეირიან ნავარდს. მრავალი განიცდის სულისკვეთებას. თვალწინ მიდგია სახელოვანი მწერალ-მეცნიერი **მიხეილ წერეთელი** — ღირსეული ძე თავის ერისა, შესანიშნავი მცოდნე თავის ხალხის წარსულის, აწმყოსი, მთელი მისი ბუნებისა, მთელი მისი არსისა! არა მარტო მცოდნე, არამედ მთლიანად შემგრძნობი თავისიანების ყველა თვისებათა. ძლიერი ბუნება ქართველი ადამიანისა, ბევრჯერ შემკრთალი მოულოდნელ გარემოებათა ხლართის წინ, სძლევს მუდამ ყოველსავე დაბრკოლებას, ანაზდად მოვლენილს და ჩვეულებრივ განაგრძობს მუშაობას ერის გასამხნევებლად... თავის პიროვნებით მან შეუქმნა თანამედროვე ქართველობას სიმბოლო სამშობლოს ტრფობისა და მისთვის სამსახურისა... რა დარგშიაც მოუხდა მუშაობა, ყველგან გვაჩვენა ნიჭი და უნარი.

ბედნიერია კაცი, როცა მისი ყოველი ნაბიჯი გადაკვანძულია ერის ცხოვრებასთან. ჩვენს მიხეილს თვით განუცდია და მომმეთათვის განუცდევინებია ბედნიერი წამები სიცოცხლეში. დიდძალი თანამემამულე დამტკბარა მისი ენამჭევრობით როგორც სახალხო ტრიბუნის, ისე მწერალ-მეცნიერის. ერის მძიმე წუთებში ხმა აუმაღლებია. ეს ხმა ლახვარივით მოხვედრია მტრის გულს, საკუთარ ხალხს კი უკვდავების წყაროს ნაკადად მოჰვლენია.

უკუღმართმა უწყალო გარემოებამ განაშორა იგი თავის ქვეყნის თბილ კერას. მოუხდა დიდი ხნით სამშობლოს გარედ ყოფნა. მაგრამ აქაც მიხეილ წერეთელი იმავე შუქურ-ვარსკვლავად ჰრჩება მჭმუნვარე ქართველობისათვის.

მეხსიერებაში ჩანიშნულია და გულში აღბეჭდილი არის ერთი უშესანიშნავესი განცდილი წუთი.

დავიწყოთ თავიდან.

სულ პირველი, რევოლუციის დასაწყისია. ხალხი ღელავს. ყველანი ელიან ცხოვრების განახლებას. დიდ სიმხნევეს იჩენენ ძველი ნამუშავარი რევოლუციონერები. მაგრამ მათი მოძღვრება ბევრს არ ეპრიანება. შემცდარად მიაჩნიათ. ჩნდება სხვა მოძღვრებაც: თავისუფლებას მეტი ადგილი ეძლევა და ერის სახეც ნაკლებ ზარალდება. დასავლეთ საქართველოდან გვაღწევს ხმა: ახალ მოძღვრებას ემსახურება ნიჭიერი ახალგაზრდა საოცარი ენა-მჭრელი მებრძოლი — იმარჯვებს ძველ ნაცად პირებზე. აღმოსავლეთ საქართველოში აღტაცებით ხვდებიან ამ ამბავს, მოელიან თვით მებრძოლს. დედაქალაქის ერთს ნაწილში მტკვრის პირას, სადაც ამჟამად საგანგებო სანაპიროა გამართული, შენობის სასარდაფო სართულში დიდი ფუსფუსია. სიმპატიური ახალგაზრდა პედაგოგი ხარლამპი ლლონტის ბინაზე თავმოყრილი არიან ეროვნულ-სოციალური ბაქანზე მდგომი რამდენიმე ყმაწვილი. ელიან საიდუმლო მოსვლას უკვე სახელმოხვეჭილ მებრძოლის. დრო გადასულია. ჰშიშობენ: ვაი თუ ვერ გამოუსხლტა ხელჯოხიანებს. უცებ გარეკართან მოისმის ხმაური. იღება კარები და შემოდის ღიმილით ახალგაზრდა. ჩვენთვის პირველი ხილვა იყო მისი. მიხაკოსთან მოჰყვა აწგარდაცვლილი ბუდუ მდივანი მძლავრი მოპირდაპირე მიხეილისა, მისგან არს ერთხელ დამარცხებული სასტიკ საჯარო კამათში. იქიდან დევნილნი აქ იმალებიან. რიჟრაჟამდე იმართება წარმტაცი ბაასი. გასათიშავი არაფერია. მიხაკო ჰხიბლავს ყველას. ფესვი ეყრება მისადმი თაყვანსა და სიყვარულს...

კიდევ სურათი!.. თფილისის საქალაქო დარბაზი. ჩვენი საყვარელი მოხუცი მუდამ მოსაგონარი ვარლამ ჩერქეზიშვილი, განთქმულ მეცნიერ-რევოლუციონერ პეტრე კროპოტკინის ახლო მეგობარი კითხულობს საინტერესო სოციალურ თემაზე მოხსენებას. შეყრილნი არიან ყველა ჯურის რევოლუციონერები და სოციალისტები. ნაჩვევი თვალი ელის დიდ კამათს, დიდ ბრძოლას. მომხსენებელი ათავებს კითხვას. პეტრე გელეიშვილის ჯგუფი ჰღელავს. ხმაურობენ. სურთ ჩაშალონ კრება. დახელოვნებულ დემაგოგებს მოთმინებიდან გამოჰყავთ ევროპიელი, — მაგრამ მაინც ფიცხი ქართველი, მოპირ-

დაპირე. ჩვენი ვარლამი სტოვებს ტრიბუნას. სამინელი ღრიანცელია. გგონია—ეს-ეს არის ატყდება ხელჩართული ბრძოლა. ტრიბუნაზე მოულოდნელად ჩნდება მიხეილი. თავის ჯოხი ხელში უჭირავს. სურს განაგრძოს კრება. ნებას არ აძლევენ. კიჟინა დასცეს: „შეხედეთ მიხაკოს რას სჩადის, არა სწამს სახელმწიფო, წესრიგი, ჯოხით ხელში კი კრების ხელმძღვანელობას აპირებსო“. მიხაკო მოსწრებულად უპასუხებს: „ჯოხი სჭირდება თქვენისთანა ხალხს, თორემ როცა ჩვენი თანამოაზრენი იკრიბებიან, არ გვჭირდება არც ჯოხი, არც თავმჯდომარე; წესი თავისად მყარდებაო“. მთიხმის ხარხარი. ყველას სახეზე ღიმილია. კრება იშლება. ყველანი წყნარად ბრუნდებიან სახლში.

მაგრამ იყო სხვა დროც—ტრაგედიული. აღშფოთებული ხალხი თავჩაქინდრული, მგლოვიარე იდგა თბილისის დიდმარ—ქუჩაზე მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ალორძინების მარტვილ-მესვეურის ცხედრის წინაში. ამართულ მაღლობზე ადის მიხეილ წერეთელი. იწყებს გულისწყრომით გამოწვეულ მრისხანე სიტყვას:

„ვინა სთქვა საქართველოზე ეგ არის ლომი ჰკვდებაო?!“

დასაწყისისთანავე ქრიზანტელმა დაგვიარა ტანში. დიდი შთაბეჭდილებაა! მრისხანება აღწევს უმაღლეს წერტილს.

უნებლიედ გახსენდება შექსპირის „იულიუს კეისარი“—სცენა, როცა ანტონიოსი გამარჯვებულ მოლაპარაკე ბრუტოსის შემდეგ მიმართავს იმავე ხალხს, ოსტატურად იგებს მსმენელთა გულს. ხალხი ახლა ბრუტოსის წინააღმდეგია. ივსება მრისხანებით და აპრიალებულ მაშხალებით გარბის მის ბინისკენ.

მართლაც მიხეილის მძლავრმა სიტყვამ სასწაული მოახდინა იმ დღეს. ყველამ ვიგრძენით, რომ მოხდა რაღაც დიდი გარდატეხა. სოციალურ აზროვნებას მტკიცე ეროვნული ელფერი მიეცა.

მალე ჩვენმა მიხაკომ ყველანი გაგვაოცა თავის შესანიშნავ თხზულების—„ერი და კაცობრიობა“—გამოქვეყნებით. ეს გახდა ერთგვარი უღელ-ტეხილი ქართველთა საზოგადო აზროვნებაში.

შემდეგ იწყება მიხეილის მუშაობის საზღვარგარეთის ხანა. ის ხდება ქართველი ერის საუკეთესო ზრახვათა მესაიდუმლე, პირდაპირ ელჩი, წარგზავნილი საზღვარგარედ პირველ მსოფლიო ომის ხანაში. დაუვიწყარია და მრავალმნიშვნელოვანი მისი გაბედული სიტყვა შვეიცარიაში გამართულ დამონავებულ ერთა წარმომადგენლების ყრილობაზე. ამ დღიდან ის იძულებულია გახდეს პოლიტიკური ემიგრანტი. ღირსებულება მისი ნაბიჯისა ქართულ პოლიტიკისათვის სჩანს იმ ავადხსენებიდან, რომლითაც გაუმასპინ ძლდნენ რუსეთის მთავრობის წრეები და მათი პრესა.

საზღვარგარეთის ხანა მიხეილისათვის არის აგრეთვე ხანა მისი სამეცნიერო მუშაობის განმტკიცებისა. ის იკვლევს ჩვენს საუნჯეს—სწორუპოვარ ენას. ღვაწლმოსილი ნიჭიერ ნიკოლოზ მარრს უჩნდება ძლიერი კრიტიკოსი და თუ გნებავთ მეტოქეც. მას აინტერესებს ქართველი ერის დასაბამი. ამიტომ იგი ეტანება ასირიოლოგიას, შუამდინარის ხალხთა წარსულს, იკვლევს უპირველეს ძველ კულტურას—სუმერიულს, რომლის მშვენებას წარმოადგენს პირვანდელი ეპოსი—გილგამეში. ფრიად საგულისხმოა ჩვენთვის მიხეილის ჰიპოთეზი ქართულისა და სუმერიულის ნათესაობის შესახებ. ამ ჟამადაც განაგრძობს კვლევა-ძიებას. მისმა ამასწინად ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილმა შესანიშნავმა ნაკვთმა უკვე მიიპყრო უცხო ორიენტალისტთა ყურადღება.

გვახსოვს საქართველოს ძველი სახელმწიფოს აღდგენის დროინდელი მიხეილის პოზიცია, როდესაც მზადდებოდა ერთგვარი სიმბიოზი ჩვენი მთავრობის და მიხეილის პოლიტიკურ მუშაობის სფეროში. მაგრამ მიხეილის მიდრეკილება უფრო მეცნიერულ მუშაობისაკენ იყო გადახრილი. თავისუფალ საქართველოში მოსვლისთანავე მან მიანიჭეს საკუთარი კათედრა, დავით აღმაშენებლის დღეს დაარსებულ ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1920 წელს 5 ოქტომბერს დიდი საზოგადოება იყო თავმოყრილი დიდი შენობის დიდ დარბაზში. ჩვენი მეცნიერი კითხულობდა გამოცხადებულ კურსის შესავალს. ხალხი სმენად იყო გადაქცეული. კვლავ აღმოკიდებული მებრძოლი მოლაპარაკე, იმ დღეს წარუდგა მსმენელთ, დინჯ მეცნიერ მოაზროვნედ. დიდი კმაყოფილება ეხატებოდა აუდიტორიას, მეტადრე ახალგაზრდა მსმენელებს. ყველაფერი წავიდოდა დიდებულად, რომ არ გარდაეწყვიტა უკუღმართ გარემოებას ჩვენი პატარა ქვეყნის ბედთან ერთად ახლად დაარსებულ კათედრის ბედიც.

საზოგადოდ თავის სამეცნიერო მუშაობის სურათი მეტად ფრთხილად, ფაქიზად და თავ-

მდაბლობით დაგვანახვა ჩვენმა მეცნიერმა თავის სამაგალითო მოხსენებაში, რომელიც მან უძღვნა ჩვენი ეროვნული კულტურის დიდ შემფასებელს და მოამაგეს უკვდავ **ივანე ჯავახიშვილს** და წაგვიკითხა ლტოლვილ ქართველთა ყრილობაში. სასურველია ეს მოხსენება ცალკე წიგნაკად ვიხილოთ.

ჩვენი ნაწერი არც ხოტბაა, არც ბიოგრაფია. დასახულია გადაცემა შთაბეჭდილებისა, რომელიც დასტოვა ავქსონში მოღვაწის მუშაობამ. ყოველი ქართველი უნდა სთვლიდეს სასიამო ვალად მიულოცოს მას დაბადებიდან 70 წლისთავი. მაგრამ ეს არაა კმარა მარტო. ჩვენ ყველანი უნდა შევეცადნეთ გამოვცეთ მისი შრომები და მოვუწყოთ მუდმივი მუშაობა **ლ,უნესკოში**—დაწესებულებაში, რომელიც დაარსებულია **„შეერთებულ ერთა საზოგადოებასთან“**, სადაც გაჩაღებულია სხვადასხვა ერთა კულტურული ძიება-მუშაობა. სხვა უკეთესი წარმომადგენელი ჩვენ არ მოგვეძებნება. მხოლოდ მიხეილს შეუძლია შემოიკრიბოს გარშემო საჭირო თანამშრომელნი და შექმნას ამ დიად წიაღში თვალსაჩინო მუშაობა.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მწერალ-მეცნიერს ბატონ მიხეილ წერეთელს და დღეგრძელ ჰყოს იგი უზენაესმა...

**გრიგოლ დიასამიძე**

---

ჟურნალი უკვე მანქანაზედ იყო, როდესაც მივიღეთ გერმანიაში მყოფ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის ბ. ალ. კორძაიას მილოცვა ბ. **მიხეილ წერეთლის** მიმართ. მილოცვა დაიბეჭდება მომავალ ნომერში.

---

## იტალიიდან

### პროფ. მიხ. წერეთელი

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზედ ვარსკვლავები“ ან ვინ შეამკოს ღირსეულად მიხეილ წერეთლის, ამ ქართული ხმლისა და ფარის ამაგი სამშობლოსა და ერის კეთილდღეობისათვის. დიდი პოეტის, ბიოგრაფის და კრიტიკოსის გაქანებაა საჭირო, რომ ეს დაუსრულებელი ქანდაკება შესაფერისად დასურათოს და მოგვცეს მინიატურა ერის იმ დიდი გუშაგის, რომელიც ათონის ბერივით ალკვეცილი უცხოეთში განაგრძობს იმას, რაც მგზავსად პარნასის ცეცხლისა, თან წამოიღო საქართველოდან და ეს არის უანგარო, ანკარა და დაუღალავი სამსახური ერისათვის.

ეროვნული საკითხი, სამშობლო და ქართველი ერი—ეს არის ის, რაც მიხეილ წერეთელს ახალგაზრდობიდგანვე მოსვენებას არ აძლევს, ის რამაც გამოჰკვეთა გეზი თუ რა გზით უნდა ევლო მომავალში მომავალ მეცნიერს. „ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინადროსა“, სად უნდა ეძიოს ადამიანმა წყაროები იმ უდიდესი გენიის, რომელმაც თავისი სრულიყოფა საქართველოს ოქროს ხანის დროს განიცადა, სად უნდა ვეძიოთ ფესვები იმ ერის, რომელიც დღეს უნათესაოდ ობლად რჩენილა, ოდესღაც უმაღლესი კულტურის მატარებელი, უდიდესი ხუროთმოძღვარი ყოფილა კაცობრიობის კულტურისა. ეს არის ის საკითხები, რომელიც ცისარტყელასავით მრავალფეროვნით გადაიშალა მიხეილ წერეთლის აზროვნების სფეროში, სადაც ის განაგრძობდა ძიებას ჯერ ყრმა, შემდეგ მკვლევარის მეთოდებით აღჭურვილი და ბოლოს დასრულებული მეცნიერი, ჯერ ბნელით მოცულ სამყაროში, რომ ბოლოს შუქი მოეფინა იმ აკალდამისათვის, სადაც განისვენებენ ჩვენი წინაპარნი, ჩვენი სიდიდე და ჩვენი გენია. და ამ გზაზედ ციხის სიმაგრეებივით წამოიზიდნენ უამრავი დაბრკოლებანი და სიძნელეები, ლურსმნური წარწერები, მკვდარ ენათა განურჩეველი და დაზიანებული ტექსტები, საკუთარ მშობლიური ენის გაწმენდა ნასესხებ და შემოჭრილ უცხო სიტყვებისაგან და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა, რომ აღარ ვახსენოთ დევნა და ბრძოლა მატერიალური არსებობისათვის. მაგრამ დიდი ოსტატი ამ კვლევისა, არაოდეს იხევს უკან და „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, ის მეთოდიურად სწმენდს იმ ბილიკს, რომლის იქით იწყება შარა გრძელი, რომელსაც მიჰყავს იმ ნასკვების გამოხსნისაკენ, რომელნიც ჩვენი ისტორიის მრავალ ნაკვთს ბუნდოვნად სტოვებდენ, რაც საშუალებას აძლევდა ზოგ მიდგომილ მკვლევარსა და მეცნიერს ბევრი ეროვნული ჩუქურთმა ჩვენი კულტურისა სხვის გენიის შედეგად გამოეცხადებია და ჩვენთვის კი უსაბუთოდ და უნამუსოდ პლაგიატობა დაეწამებია.

ამ დაფნის გვირგვინით ბოლოვდება ამ ხანად ის ახალგაზრდული ალტაცება, ახალგაზრდული ცეცხლი მიხეილ წერეთლისა, რომელმაც ელვასავით გაანათა ის ბნელი ღამე, როდესაც ყოველი ეროვნული დაგმობილი და უარყოფილი იყო, და ყოველი ეპოქის შესაფერისი იარაღით ეროვნული ცეცხლის მოგვი და ქურუმი განაგრძობს

ბრძოლას ქართული კერის, ქართული მეობის და ქართული კულტურის გადარჩენისათვის.

მაგრამ „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“, ჩემო მიხეილ, შენ მიერ გაკაფულ გზაზედ ბევრი ივლის, მაგრამ მაინც უდიდესი ტვირთი ისევ შენ უნდა ჰზიდო, ასეთია ბედი მეცნიერთა და მკვლევართა. ის ვინც იწვის ეროვნულ კოცონზედ, მას ერთი მიზანი აქვს „ან ფარით ან ფარზედ“. შეიძლება ამ შორის მიზნისაკენ მიმავალ გზაზედ ბევრჯერ მოგიხდეს დასვენება, ბევრჯერ ჩამოჯდე; ბევრჯერ გემძიმოს შენი ხმალიც კი, მაგრამ საქართველოს მედროშე, არც ხმალს დააგდებ, არც კალამს!

ჩვენ კი იმედით ვიტყვით: „რომ ასეთია ჩვენი ხცოვრება და არ დაგვტოვებს მიხაკო ობლად, რომ არ დაანთოს ისევ სანთელი მივიწყებული ხალხის მახლობლად“.

არჩილ გომართელი

მილანი

---

## საფრანგეთიდან

### წერილი რედაქციის მიმართ

მადლობელი ვარ, რომ შემატყობინეთ **მიხაკო წერეთლის** იუბილეს დღე. მე მას დიდ პატივსა ვცემ და მის შრომასაც და ნიჭს დიდად ვაფასებ. მაგისთანა მომზადებული მეცნიერი ასიროლოგი და ქართული ენის ღრმად მცოდნე აღარავინ მეგულება. ვაი რომ არ დასცალდა და ვერ მოასწრო თვისი ვაჟის იმავე გზაზედ დაყენება. შორიდან მესმოდა, რომ უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა ნიჭით და ხალისით მამის კვალზედ მიდიოდა; რას ვიზამთ უბედური მამები, რომელთაც ასეთი უბედურება მოულოდნელად მოგვადგა კარსა...

მიხეილი ჩემზედ 14 წლით უფრო ყმაწვილი ყოფილა; მას კიდევ შეუძლია მეცნიერებისათვის და ჩვენი ქვეყნისათვის ნაყოფიერი მუშაობა, რასაც მას სულით და გულით ვუსურვებ.

გიორგი ჟურული

---

### ძვირფასო და საყვარელო მეგობარო მიხაკო!

გავიგე რომ ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ს გადაუწყვეტია 23 ქრისტეშობისთვეს შენი 70 წლის თავის განსაკუთრებული აღნიშვნა. და მეც სიამოვნებით ვიღებ მონაწილეობას ამ საზეიმო დღის გამოხმაურებაში, რომელშიდაც ყოველი შეგნებული მამულიშვილი დიდის სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენ შორის მტკიცე მეგობრული კავშირია, რომელიც ჩვენ სათაყვანო საგანს—სამშობლოს უაღრესი სიყვარულით მსახურებას—არასოდეს არ გვავიწყებინებდა.

ჯერ კიდევ იმ საშინელი მონური განწყობილების დროს, როდესაც ქართველს ქართველის სახელის ტარებასაც უკრძალავდნენ, ჩვენ ერთად გვასულდგმულებდა მხოლოდ თავისუფალი საქართველოს არსებობა.

ჟამთა სიავემ გაიძულა დიდ ხანს სამშობლოს განშორებით ყოფნა და ამ მხრივ შენი ტანჯვა უფრო მძიმე ასატანი იყო, ვიდრე ჩვენი, ვინც სამშობლოს დაუშორებლად, იქ ვიტანჯებოდით.

ბოლოს დაჰკრა სასიამოვნო ჟამმა, ვეღირსეთ სამშობლოს ტყვეობიდან განთავისუფლებას, შენ მყისვე გაჩნდი სამშობლოს წიაღში და ამ მეცნიერებასთან ერთად საკუთარი მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაც, დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, განხორციელებას მიეცა. აქ იხსნებოდა შენთვის საუკეთესო ასპარეზი, სადაც შეგეძლო ახალგაზრდა თაობისათვის გადაგეცა შენი ღრმა ცოდნისა და მეცნიერული მომზადების მასალა.

მაგრამ, სამწუხაროდ მწარე ბედმა ეს დიდებული ასპარეზიც გამოგაცალა; ჟამთა უკუღმართობამ აქაც დაგსუსხა და თავისუფალი მოქალაქე ისევ ლტოლვილად გაგხადა.

რამდენი ძალა—მხნეობა და ხასიათის სიმტკიცე საჭირო, რომ შენსავით ეროვნული გრძნობის მსახური ქურუმისათვის ასეთი განსაცდელი შეუდრეკელად ასატანი გამხდარიყო..

მეოთხედი საუკუნის ახალ უნუგეშო ლტოლვილობას, რასაკვირველია, მძიმე კვალი უნდა დაეჩინა შენი ბუნებისათვის, მაგრამ ამასაც იტანდი მარჯვედ, სანამ ახალმა უბედურებამ—შენი ძვირფასი სასიქადულო შვილის დაკარგვამ, საბოლოოდ არ შეავსო სიმწარის ფიალა, შენთვის უწყალო ბედის მიერ ვერაგულად გამზადებული. რა უნდა გითხრა, ძვირფასო მეგობარო, სანუგეშო ან გულის გასაკეთილებელი?! სწორედ ასეთი მდგომარეობისათვის არის ნათქვამი ძველად ასეთი სიტყვები: „მრავალ არიან ჭირნი ჩვენნი და ვერვინ შემძლებელ არს კურნებად მათდა!??.

ვაგლახ მწარე ბედო, რომ ასეთ პირობებში

გვიხდება შენი სამოცდაათი წლის თავის აღნიშვნა, ნაცვლად — სამშობლოს დედაქალაქის უნივერსიტეტის წიაღში, ამ დიდებული სახსოვარი დღის შესაფერისის ზეიმით გადახდისა, სადაც დიდძალი შენი განმზადებული მოწაფენი გეყოლებოდა უკვე, რომ ჩვენი სამშობლოს ვითარება ბუნებრივ კალაპოტს არ ამოირებოდა.

გეამბორები ძმურად, ჩემო ძვირფასო და გისურვებ კიდევ სიმარჯვესა და მხნეობას სიცოცხლის აღსასრულამდე, ვიდრე მწარე ბედისაგან ამ სოფლად ყოფნა გვაქვს განწესებული, ჩვენი ეროვნული მსახურის შესასრულებლად.

შენი ერთგული მეგობარი

**ვახტანგ ღამბაშიძე**

---

## ძვირფასო ძმაო მიხეილ,

70 წელი შეგისრულდა. ეს მოხუცებულობასა ნიშნავს და, ამ მხრივ, მოსალოცი არა გაქვს რა. მოგილოცავ იმ 70 წელს, რომელიც შენ შენს ერს ასე ნაყოფიერად შესწირე.

სასიქადულო მეცნიერი ხარ. ხოლო უმთავრესი შენი დამსახურება შენი ერის წინაშე, შენი საქმიანობის ეს მხარე არ არის. რაც მე შენში მიყვარს, რასაც მე განსაკუთრებით ვაფასებ, არის შენი სალი ქართული, ანუ შოვინიზმისაგან გაწმენდილი ნაციონალიზმი.

შენი გრძნობა, შენი აზრი, შენი ოცნებანი, შენი მისწრაფებანი ყოველთვის და ყოველგან, შენი ერის ბედისაკენ იყვნენ მიმართულნი. გარეშე ამისა, შენ წარმოუდგენელი ხარ. ამისა გარეშე, ფუყეა შენი წარსული, რადგან, ყოველი რაც გიმოქმედია მხოლოდ და მხოლოდ შენი ქვეყნისათვის მიგიძღვნია. მიზანი შენი არსებობისა იყო და არის უანგარო, უამბიციო სამსახური საქართველოსა.

აგერ, 43 წელი შესრულდა რაც პირველად გნახე და პირადად გაგიცანი. შენ, დღესაც, 70 წლის მოხუცი, ის მიხაკო ხარ, რომელიც ბავშვობისას იყავი: მთლიანი ქართველი, ქართველი მთელი შენის არსით.

43 წელია რაც თანამშრომლობთ ეროვნულ ნიადაგზე. არა ერთხელ განსხვავებულან ჩვენი მსოფლმხედველობა, დაფასება, ამა თუ იმ საერთაშორისო მოძრაობისა. ხოლო, „ბედი ქართლისა“, მის საკეთილდღეოთ ბრძოლა იყო და არის ის დუღაბი, რომელმაც განუყრელად ჩაჰკირა ჩვენი ძმური მეგობრობა.

როდესაც კი ჩვენი ერი თავის შვილებს სხვერპლს მოსთხოვდა, შენ ბრძოლის პირველ რიგში ჩადგებოდი და დროშა თავისუფლებისა არასოდეს ძირს არ დაგიშვია.

პესიმისტი ბუნებით, ბრძოლის დროს უდრეკი და უტეხი იყავი. და მით უფრო უდრეკი და უტეხი, რაც უფრო დიდი უბედობა დაატყდებოდა ჩვენს ერს.

დღესაც მშიერს, ერთად ერთი ძისაგან დაობლებულს, ღრმად დამწუხრებულს, უსახლ-კაროს-უოჯახოს, მხოლოდ ბედი შენი ერისა გასულდგმულებს.

შენი ცხოვრება სანიმუშო მაგალითად გადაეცა ჩვენს ახალთაობებსა და წყვდიადს გაუნათებს მომავალ მებრძოლთ თუ საქართველოს მონობა კიდევ უწერია.

აი, ამას მოგილოცავ, ძვირფასო მეგობარო.

ვიცი, მიხეილ, ვიდრე სული გიდგია, შენ ის მიხაკო იქნები, რომლითაც ყოველი გულწრფელი ქართველი ამაყობს.

**გიორგი კერესელიძე**

---

## დიდო მეცნიერო!

თქვენი საიუბილეო დღესასწაული თქვენს ახლო მეგობართა წრეს როდი ეკუთვნის! იგი მთელი ქართველი ერის დღესასწაულია.

ბედმა გარგუნათ მშობლიური მიწიდან მოწყვეტა, მაგრამ, მთელი თქვენი 70 წლის მდიდარი ცხოვრება არის სანეტარო ზვარაკად შეწირული ქართველი ერის უკვდავყოფის საკურთხეველზე. ბუნებისაგან უხვად მომადლებული ნიჭი და უშრეტი ენერგია თქვენ მოახმარეთ: მშობლიური ენის შესწავლას და მის გამდიდრებას, ქართველი ერის წარსულის გაგების და მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

გაჰქრენ უძლიერესი იმპერიები და დღეს მათ არსებობას მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილი ქვათა-ლოდნი მოგვაგონებენ. ქართველი ერი კი დღემდე ამაყად მოიბრძვის მდიდარი ენით და საკუთარი ეროვნული ყოფით. და ეს იმიტომ, რომ ქართველი დედები უხვად ზრდიდენ თქვენისთანა თავდადებულ შვილებს ერის წმინდათა წმინდის სარადაჯებლად.

დიდო ქართველო! ეჭვს ნუ შეიტანთ საქართველოს ახალ თაობაში. მისი უმრავლესობის გული წმინდაა და შინაგანი „მე“ და ეროვნული გრძნობა წაუბილწველი. და სწორედ იქ ღვივდება თქვენი მადლიანი ხელით უხვად გადაბნეული სიბრძნის ნაყოფი. დრო მოვა და იგი მშვენიერ მცენარედ გაიფურჩქნება. მაშინ მშობელი ერი თვისად მოგიხმობთ. სიყვარულით შემოგატარებთ თქვენი ყრმობის ძვირფას ადგილებს მამა-პაპათა სისხლით განსპეტაკებულთ. ახალი თაობა, მხრებზე შესმულს, მიგაცილებთ მეცნიერების ტაძრამდე და იქ დაგადგამთ უკვდავების ეროვნულ გვირგვინს. მანამდე კი გულს ნუ გაიტეხთ ჰალარა.

ჯანმთელი ყოფით იდღეგრძელეთ!.. მრავალჟამიერ!..

გოგი წერეთელი

* * *

მაღალ სულოვანო, საქართველოს ერთგულო გუშაგო, ერის გამღვიძებელო, მისი პატიოსნების და სინდისის განსახიერებავ, ცნობილო მეცნიერო, დიდო მოხუცო!

დღეს, თქვენს გულს უბედურებისაგან დაცარიელებულს და გაცივებულს, მალამოთ გადაედის გულწრფელი მოლოცვები იმ ერის შვილებისა, ვისაც უანგაროთ ემსახურებით ნახევარი საუკუნე.

გესალმებით და გისურვებთ, ძვირფასო ბატონო მიხეილ, რომ საუკეთესო ქართველების სიტყვები თქვენდამი მიძღვნილი, გადაქცეულიყოს იმ წყაროთ, რომელიც მოგცემთ საშუალებას განაგრძოთ თქვენი შრომები და მით ადიდოთ უკვდავი სამშობლო, და თქვენც მათში ჰპოვოთ მძიმე და მწარე იარების გაქარვება.

ნ. სალია

## პროფ. მიხეილ წერეთელს

„ცოდნა თან დასდევს მცოდნესა
რაზომსაც დაეტარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის
არც მალვით მოიპარების.“

დავით გურამიშვილი.

იყავ მზეგრძელი, ქართვლის დედავ! დიდება შენდა;
შენ დაგვიბადე ღირსეული ძე მამულისა,
შენებრ დედათა წყალობითა არ გადაშენდა
ერი, ვის წილ ხვდა უღვთო ბედი თვით ჯვარცმულისა.

დედავ! არ მინდა გული დაგწვა დღეს ჩვენი წყლულით,
დღეს შენთან - ერთად მსურს ღიმილი, თავდავიწყება...
განვუქროთ წამით თვალთა მიწა სისხლითა რწყული,
ღმერთი, ვისთვისაც გვიტანჯნია, არ გაგვიწყრება.

დღეს ხოტბას ვასხამ, ვისი ხმალიც ქცეულა კალმად,
ვისაც მაგ ძუძუს მადლით სავსე რძე შეჰრგებია,
ვინც ამ გრიგალში ბრძენის სახით მიგვიძღვის ალმად,
ვის შუბლსაც ჭირი ლტოლვილობის ვერ შეჰხებია.

იგი ჩვენს მიწას (თუმც მოსწყვიტეს) მკვდარსაც არა ჰკლავს,
წარსულ დიდების ძიებაში ეძებს მალამოს,
ჟამთა ალწერით ძირად ფურცელთ მარგალიტად ჰკრავს
და ჭეშმარიტად ძველი ქართლის აღდგენს ლამობს.

დაე, იმ მიწას, რომლისთვისაც სძგერს მისი გული,
ქართულ ზეიმით კვლავ ჩაეკრას ძე ღირსეული
და ის შტო, მცხოვნის ფაქიზ ხელით დამყნილ - დარგული,
უკვდავების ხედ ყოფილიყოს გარდაქმნეული.

პარიზი.

ა. დარეჯანიძე.

# მ ი ხ ე ი ლ   წ ე რ ე თ ე ლ ი

### მოგონებათა ბარდული

გაეშურებით „ფერმისაკენ“ ზედა ხიდიდან ქუთაისისა, თვალს მოჰკრავთ მარცხნით გრძლად გაწვდილ სახლს, ზე რიონის პირას, სანატორიის თუ სასტუმროს სახისა. ბენაშვილს ეკუთვნოდა ანდროს. იყო ტანმორჩილი კაცი, ფერმიბანდული და კანმჭნარი — („მჭნარი“ და არა „მჭკნარი“, ასეა ეს კლასიკურ ქართულში, როგორც „ბრჭალი“ და არა „ბრჭყალი“). მშვიდი იყო, წყნარი, ყუდრო, უაღრესად ფაქიზი, ერთი მოხატვით: „გუგული“. ასწავლიდა ქართულს სასულიერო სასწავლებელში. არ მინახავს არც გულმოსული და არც ხმაამაღლებული. ლოტბარობდა მგალობელთა გუნდს გაბრიელ მღვდელმთავარისა. არ გავდა ჩვეულ ლოტბარს, რომელიც ლოტბარობს ვითარ ტორეადორი. ანდრო აქაც ნელი იყო: იდგა ცალგვერდით, უძრავად, მხოლოდ მარჯვენას თუ აიქნევდა ხოლმე, თითქო სიზმარეული, გალობის ხვევულთა რიტმიულ გაყვანისათვის. გუნდი ისე ჰყავდა გაწვრთნილი, რომ ესეც საკმაო იყო. ბენაშვილთან ბინადრობდა ანდრია ტყემალაძე, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა ჯერ სასულიერო სასწავლებელში და შემდგომ სასულიერო სემინარიაში. დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა — განუსვენოს უფალმა. ნიჭიერი იყო, თანვე მეყაითი და ბეჯითი: ირიცხებოდა მოწაფეთა პირველ რიგში ყოველთვის, დროდადრო პირველობაც რგუნებია. ხშირად შემიხვევია ხოლმე მასთან. ერთს ნასადილევს, როცა მასთან ვიყავ, აივანზე ორ გიმნაზიელს მოვკარი თვალი: ახალისებულნი და ჟინაყვანილნი ერთიმეორეს „ელამუცებოდენ“. ერთი მათგანი მოტრიალდა უეცრად და ჩვენს ოთახში შემოიხედა. მომკრა თვალი — შეჩერდა, მე მსინჯავი თვალით შევხედე — იმ დროს თვალხამხამი არ ვიცი. გიმნაზიელი მყისვე გატრიალდა. გამოხედვაში, ეს შემდეგ ვსცანი, უცხო ფრინველის თვალი კიაფობდა. კიდევ უფრო გამაკვირვა მისმა მიხვრამოხვრამ. ეხლა, როცა უკან ვიხედები, მეჩვენება: თითქო უცხო ყმაწვილი მთავრის შვილი ყოფილიყვეს, ხოლო ისეთი, რომელმაც არ იცის თავის შთამოება. იქედან: მიხვრა-მოხვრა ნებიერი და ჯიშით დაქნილი, გარნა არა „გამომწვევი“ და „ხაზგასმული“. თანვე სახეც აიხაზა მისი ჩემში: სუფთად მოშოთილი, მრავალ მეტყველი და მხედრი. („მხედრი“—ამ სიტყვის გენიალობას ითეული წლების შემდეგ ვწვდი. „მხედრი“: „მოახვედრია“ ნიშანში აღებულს, „მიხვდა“ საიდუმლოდ გააზრებულს, „ხვედრი“ ბედისაგან.) „ვინ არის?“ შევეკითხე ანდრიას. „ესაა მიხაკო წერეთელიო“, მომიგო. „ესაა“—ამით უნდოდა გამოეთქვა: ეს იგია, რომელის ირგვლივ ისე ბევრი გსმენიათ.

მიხაკოს ნიჭიერება მთელს ქუთაისში იყო ხმაგავარდნილი. შემდგომ იგი ქუთაისში აღარ მინახავს, ხოლო ჩემს ოცნებაში ცოცხალი დარჩა.

⁂

„ოცნებაში ცოცხალი დარჩა“. ეს რომ „ნამდვილად“ გაიგოს მკითხველმა, საჭიროა ყურადიღოს ქვემორე. ბავშობიდანვე მჩვევოდა „გაბნეულობა“, პირდაპირ ფანტასტიური. უამრავი მაგალითებიდან აქ მხოლოდ ერთი. პირველ წლებში ჩემი ქუთაისში ყოფნისა ამბაკო სულაქველიძის ოჯახში ვიყავი აყვანილი. გაგეგონებათ ალბათ: იგი მასწავლებელი იყო სასულიერო სასწავლებელში. „ფილოსოფოსს“ უხმობდენ. შეიძლება ისიც იცოდეს ვინმემ, რომ ვალოდია სულაქველიძე, დღეს პარიზში მყოფი, შვილია ამბაკოსი. თეკლე, დედა ვალოდიასი, ხშირად მავალებდა ხოლმე, რომელიმე მეზობელ ოჯახიდან მომეტანა სანათხოვროდ: თეფში თუ კარდალი თუ კიდევ სხვა რამ. რამდენჯერ! გამოვბრუნებულვარ უკან, რათა გამეგო, თუ რა დამაბარა! ასეთი შემთხვევაც ყოფილა ხანდახან: თეკლე მიხსნის უკანდაბრუნებულს სათხოვარს. მივდივარ და შუა გზიდან კვლავ ვბრუნდები უკან, ხელცარიელი და დარცხვენილი. ეს „გაბნეულობა“ ჩემს ზრდაში არ კლებულობდა პირიქით: იგი კიდეც მატულობდა. ვიყავ „გაბნეული“, რადგან ვიყავ შინაგან „შებოჭილი“. დღეს ეს „გაბნეულობა“ იქამდე მიდის, რომ ჩემი თანამოსაუბრისთვის იგი ხშირად აუტანელი ხდება. სამაგიეროდ: თუ ჩემს „შუაგულს“ რამე „მოხვდა“, ამ სიტყვის ზემო ახსნით—იქნება იგი: შეხვედრა, სიტყვა, სახე, წიგნი, სურათი—მას ვეღარაფერი ამოშლის იქიდან. მიხეილის სახეც ცოცხლად შერჩა ჩემს შუაგულს.

გარეგან - „გაბნეული“ და შინაგან - „შებოჭილი“ მეოცნებეა. მეც ოცნებაში ვიყავ გამუდმებით გადასული. დავდიოდი მარტო: რამდენ-

ჯერ მომავლის განმარტოვებულს სატურისას ველები ფიქრებში გადასულს! დრო ბევრი მქონდა, რადგან გასაოცარი მეხსიერება მქონდა: „მეცადინეობა“ სულაც არ მჭირდებოდა. ფიქრებში მიხეილის სახეც გაიელვებდა ხოლმე. მსურდა გაცნობა—არ მოხდა. აქ ერთი დეტალი. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირისპირ წიგნთსაცავი იყო ტხორჟევსკის სახელობისა. იქ ხშირად დავდიოდი. იქვე ფოტოგრაფია იყო და გარეთ: გამოფენილი დაფა სურათებით. სურათებში ერთი სურათი, რომელიც, რამდენადაც მახსოვს, წლების განმავლობაში არ მოუხსნიათ. ამ სურათზე იყო გადაღებული მიხეილი მის განუყრელ მეგობართან ერთად: ალექსანდრე მიქელაძესთან, რომელსაც „კუჭიას“ ეძახდენ—რა უხიაგ სახელს არ მიარქმევენ ხოლმე ვინმეს ქვემო იმერეთში და კიდევ უფრო უხიაგს სამეგრელოში! მეგობრები იდგენ მხრებზე მკლავგადაჭდობილნი. ხუთი წუთით მაინც შევჩერებულვარ ხოლმე ამ სურათის წინ: ვაკვირდებოდი სახეებს. მიხეილი—გვრემანი. ხომ გინახავთ თოვლი, მთის კალთებზე დაფენილი, რომელსაც ლაჟვარდის მსუბუქი ციალი გადაჰკრავს? ასეთი იყო ფერი მისი სახის კანისა, „კუჭიასი“ კი უფრო „ღია“ ფერისა. მიხეილი შემმართებელს გავდა, მეგობარი მისი შენელებულს: თითქმის მოდუნებულს. თვალში გეჩრებოდათ: პირველი როგორც თაოსანი და გეზის ამკვალავი, მეორე როგორც ამრქმევი და გამყოლი. ორი სახისაგან ერთი სახე იფინებოდა.

***

მართებულად ვთვლი: ორიოდე სიტყვით მაინც მოვხაზო აქ ტყუბი-მეგობარი მიხეილის სიყმაწვილისა. იგი 1910 წლის შემოდგომაზე გავიცანი პეტერბურგში. ნათელი პიროვნება იყო: იმდენად ნათელი, რომ სინათლით ანთებული მეჩვენებოდა. ეს „ნათელი“ იფინებოდა ვითარ შარავანდი ირგვლივ ნამდვილი თავადის სახისა. არ წამოეგოს მკითხველი „ფსიქოლოგიზმს“, ასე გავრცელებულს დღეს „თავადის“ ხსენებისას! „ჯიში“ ჩვენში „თეორია“ კი არაა, როგორც ევროპაში: იგი „სინამდვილეა“ თვითონ. აბა დააკვირდით! ვაგინებთ ჩვენ ვისმე, ვიტყვით: „უჯიშო!“ ვკრულავთ ჩვენ ვისმე, ვამბობთ: „მისი ჯიში ამოვარდა!“ ისიც ვიცით თანვე, რომ „ჯიშის“ დგენისათვის მარტო „სისხლი“ არ კმარა: ვიცით, რომ მისთვის საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიათისა. „თავადი“ ჩვენში ძველისძველად რჩეული არსი იყო: ნათელმგები ხალხისა, მცველი და მმართავი. იგი „რაინდი“ იყო—რა ოქროსიტყვაა! ბატონყმობა ჩვენში არ ყოფილა „კრეპოსტნიჩესტვო“. აბა განსჯვრიტეთ: „ყმა“ ქართულში არ ნიშნავს „მონას“—გადაფურცლეთ რუსთაველი! დააკვირდით სიტყვას „ყმაწვილი“—განა აქ „ყმა“ „მონას“ ნიშნავს? „ბატონ-ყმობა“ «Lehn»-ის სისტემის ხმიერებაა. ეს სისტემა აღმოსავლეთში ქართველებმა შექმნეს, დასავლეთში გერმანელებმა, შექმნეს ერთიმეორის დამოუკიდებლად—(საცნაური პარალელი მკვლევართათვის). „თავადობა“ ქართველობაში ბოლო ხანებში გადაგვარდა. ხოლო მის ანარეკლეს ჩვენ დრომდეც მოუღწევია. აქ ერთი ზეიმი უნდა ვახსენო, გაგონილი აპოლონ წულაძისაგან, რომელიც მას მოსწრებია და კიდეც დასწრებია მრავალჯერ. ყოველ იანვრის მეორე დღეს თავად გურიელებისას თურმე ზეიმი იმართებოდა, საცა „ყმებად“ გურიელები გამოდიოდენ და „თავადებად“ გლეხები. მინდა მოვიგონო ამ „ანარეკლის“ ერთი გამომჟღავნებაც კიდევ. 1912 წელს სუფსაში ვარ სადგურზე. ველი ბათუმიდან მომავალ მატარებელს. ვხვდები ვახტანგ გურიელს. ვმუსაიფობთ: ვტკბები მისი ქართული კილოთი: „გურიულურით“. მატარებელი ახლოვდება. მე კასისაკენ ვეშურები ბილეთისათვის. ვახტანგი მეუბნება: „მზადაა უკვე“. მოდის მისი მხლებელი და მაწვდის ბილეთს. მე მიკვირს—მიკვირს ისიც, თუ როგორ ანიშნა ვახტანგმა მხლებელს ბილეთის ყიდვა. ვიგონებ: ჩემთან საუბრისას მან მას რაღაც ჩაუჩურჩულა—ალბათ „ეს“ იყო. ჩემი გაკვირვება გრძელდება. მესმის ვახტანგის სიტყვები: „ჩემს სამფლობელოში, აბა, როგორ გაგაცილოთ სტუმარი, მცირე პატივი მაინც არა გცეთ!“ სიტყვას „სამფლობელოს“ ხაზს უსვამს ღიმილით. ორივეს გვესმის, თუ რა იმალება ამ ღიმილში. დაუვიწყარი სცენა! ვახსენო კიდევ ერთი რამ? ევროპიელნი დამიწუნებენ ამდენ „გადახვევას“, მაგრამ მე ქართველთათვის ვწერ და ამათ ოღონდ „გული მოფხანე“ მოყოლილით და „არქიტექტურაში“ არ გამიგულდავებიან. აი ეს „გულმოსაფხანიც“. ტელემაკმა, უმცროსმა ძმამ ვახტანგისა, მითხრა ერთხელ: „ვახტანგს ისეთი ღონე აქვს, რომ პირისბანა უჭირსო“. განვცვიფრდი. „მკლავთა კუნთები ისე ეკვრება ბანისას, რომ ბანას ვერ ახერხებსო“. შემდეგ ესეც მიაყოლა: „ვთქვათ, ვახტანგი სადარბაზოდ მივიდა ვინმესთან და შინ არავინ დახვდა—მა-

შინ, თუ მონახა აქვე სადმე რკინა, აიღებს, მოღუნავს და სადარბაზო ბარათად დასტოვებსო: „ბარათს" რო ნახვენ, მიხვდებიან ვინ იყოვო".

***

ზედმეტი არ იქნება, „კუჭიას" „ბოლოც" აღვნიშნო. ხმა მომესმა: ლუესი სჭირსო. „მეტაფიზისი" ამ საიდუმლო ავადობისა ევროპაში არ იციან: იგი „მზის ელემენტის" დაავადებაა სისხლში. ვერ გამოვუდგები აქ ამის ახსნას: შორს წამიყვანდა—უნდა გამეხილა, თუ როგორ იშვა ძველ მექსიკოში „თეთრი" მზისაგან „შავი", თანაც ეგვიპტელთა ერთი გადმოცემაც უნდა მომეშველებია. ვიტყვი მხოლოდ: აღმოსავლეთში, დღესაც, ლუესს, დაავადებულ მზიურ ელემენტს სისხლისა, მზითვე არჩენენ. აქედან რჩევა: ლუეტიკი უნდა ეკრიდოს ჩრდილოეთს. პეტერბურგის ცივმა ჰავამ, ასე მგონია, გაამძაფრა ავადობა „კუჭიასი". რამოდენიმე თვის შემდგომ ჩემი მასთან გაცნობისა შეიშალა ეს ნათელი ადამიანი. ხოლო საკვირველი: „სინათლე", თუმცა მეტაფიზიური „აბსურდით", არც შეშლილობაში მოსცილებია მას—ქრისტედ მოეჩვენა თავის თავი. ერთ კვირაში „მოთავდა" საცოდავი. „გვირგვინი", რომელსაც მიხეილი თავის წერილში იხსენიებს (იხ. „ბედი ქართლისა" 2), ეს ალმანახი განსვენებულისადმი სამსონ ფირცხალავას მიერ, მისი ინტიმი მეგობრისა, იყო მიძღვნილი. იქ მოთავსებულია ჩემი ნარკვევიც „რუსთაველი".

***

გასული საუკუნის მიწურულში ახალი თაობა სოციალიზმს ეტანებოდა, მარქსისტულ ჯიშისა საკუთრივ. ხმა მომესმა: მიხაკო წერეთელიც მარქსელიაო, აგრეთვე მისი მეგობარიც მიქელაძეო. ვიეთნი იმასაც ამბობდნენ: მიხაკომ „კაპიტალის" პირველი ტომი თარგმნაო. ერთხელ დაბა ჩხარში, ბაზრობისას, რომელიც პარასკეობით იმართებოდა, მეთოდე ქათამაძის აფთიაქში", სადაც ჩხარისა და მიდამო სოფლების „ინტელიგენცია" თავს იყრიდა—ჰოი ეს ჩხარი, ეს ბაზრობა, ეს „აფთიაქი", ეს მეთოდე: საუცხოვო თემა ბალზაკისათვისაც; არჩილ ჯორჯაძეს კი ეგონა, საქართველოში სარომანო მასალა არ მოიპოვებაო—იქ ერთხელ „ივერიის" ერთი ნომერი ჩამივარდა ხელში. მოთავსებული იყო ერთი ვებერთელა ფელეტონი—მარქსიზმს ებრძოდა—ხელმოწერილი ფსევდონიმით «un camarade». გავიგე შემდეგ: ფსევდონიმი მიხეილის ყოფილიყო. ჩემმა ინტერესმა მისდამი იმატა. გავიგე კიდევ: მიხეილი შესულიყო კიევის უნივერსიტეტში, იმავ წელს მონაწილეობა მიეღო სტუდენტების დემონსტრაციაში, წარმოეთქვა რევოლუციონური სიტყვა ცეცხლეული, და, მეფის მთავრობის დევნა რომ აეცდინა, გადასულიყო ევროპაში: ჟენევაში. 1902 წლის შემოდგომა. ეხლა მეც ევროპაში ვარ: ლაიპციგში. მსურს გავიგო რაიმე მიხეილის შესახებ. 1903 წელს თავი ამოყო ჟენევაში სიმონ ძველაიამ, რომელსაც სემინარიიდან ვიცნობდი. (ეს შესანიშნავი ყმაწვილი მოითხოვს განსაკუთრებულ ესკიზს; გარდაიცვალა ლეიზენში ჭლექით 1906 წელს, ზაფხულში; გავხდი მოწმედ მისი უკანასკნელი წუთებისა; დავასაფლავე იქვე.) ძველაიასთან ვმართავ მიწერ-მოწერას. შიგადაშიგ იგი მატყობინებს მიხეილის ამბებსაც: უკანასკნელი ამ ხანაში უკვე ანარქისტია. 1907 წელი, ზაფხული. ოდესაში ვარ გავლით. „გავლა" რამოდენიმე თვეს გრძელდება. მიზეზი—„რომანი". თავზარდამცემი ამბავი: მოჰკლეს ილია. (ბიოგრაფიისათვის: ილიას სიკვდილი ანგელოზმა მიმხილა სიზმარში, მეორე დღეს მამცნო გაზეთმა; ერთი დეტალიც: „კარდუ" ვიგზნე ჩემში სწორედ მაშინ, ილიას მოკვლა რო გავიგე). ვბრუნდები საქართველოში. მესმის ყოველი მხრით: მიხეილმა ილიას დასაფლავებაზე საქართველოს შინაგან-შემარხველი სიტყვა წარმოსთქვაო. სიტყვა ცეცხლი ყოფილიყო: ამ ცეცხლით წვას ეხლაც გრძნობს ჩემი უფროსი მეგობარი გიგო დიასამიძე, როცა მას მიხეილის სიტყვა მოაგონდება ხოლმე. ტფილისში მოხსენება წავიკითხე „ნაციის იდეის" შესახებ. გავბრუნდი პარიზისაკენ—დავბრუნდი ტფილისში 1908 წელს. აი ამ ხანებში შევხვდი მიხეილს. დავუახლოვდი—დამიახლოვდა. გადის ცოტა. მიხეილი მიდის კვლავ ევროპაში—ფილოლოგიის შესასწავლად. ყველას უკვირს: პოლიტიკური მებრძოლი და ფილოლოგია? მიკვირს მეც. ირკვევა შემდეგ: თურმე მოწადინებულია იკვლიოს ძირები ქართულისა. წლების სლვაში ჩემთვის სხვა რამეც ირკვევა: რამდენად იფესვები ქართულში, იმდენად ეზიარები კარდუს არსს. ცხადი ხდება: მიხეილის ფილოლოგად ქცევა მის მამულიშვილობას წარმოეშვა. 1927 წელს ბერლინში ვარ. ვხვდები მიხეილს. „გველის პერანგის" წაკითხვის შემდეგ, ბერლინშივე წერი-

ლობით მამცნო თავისი აზრი რომანის შესახებ („ათას წლეებზეც" იყო სიტყვა—მკითხველმა თვითონ გამოიცნოს: რა აზრით). გავბრუნდი საქართველოში. 1931 წელი. კვლავ ბერლინში ვარ. 1933 წლიდან მოყოლებული 1943 წლის შემოდგომამდე ვხვდებით ერთიმეორეს, თითქმის ხუთჯერ კვირაში—თუ ბერლინიდან არა ვარ გასული. დაახლოვება მეგობრობაში გადავიდა.

***

ჩემს წინ დევს ერთი ფოტოსურათი. გადაღებული უნდა იყოს 1903 წელს, როცა აქ, ჟენევაში, კონფერენცია გაიმართა ქართველ ნაციონალისტთა და ანარქისტთა. დგანან, მარცხნიდან მარჯვნით: სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი; სხედან: არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი; ზის ამ ორის შუა, დაბლა: გიორგი დეკანოზიშვილი. ექვსი



დგანან, მარცხნიდან მარჯვნით: **სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი;** სხედან: **არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი,** მათ შუა ზის: **გიორგი დეკანოზიშვილი.**

ქართველი. ტომით: ორი კახელი: ჩერქეზიშვილი და ჯორჯაძე, ერთი ქართლელი: დეკანოზიშვილი, ერთი მეგრელი: გაბუნია, ერთი გურული: გოგელია, ერთი იმერელი: წერეთელი. ამათგან: ნაციონალისტი: დეკანოზიშვილი, ჯორჯაძე; ანარქისტი: ჩერქეზიშვილი, გოგელია, წერეთელი, მგონი გაბუნიაც. ექვსი ქართველი: თვითეული მათგანი დიდი კარდუს ხალასი ფშანი. ვარლამი: დათუთქული „ქართლის ბედით", სიმწარეს ოდნავ მონაქროლი ღიმილით იქარვებს; გიორგი: ურყევი და უტეხი, სჯერა ყველაფერს გადაიტანს; არჩილი: დაღვრემილი უძირო სევდით, ხოლო არა სასომიხდილი; კომანდო: ამაყი შინაგან, თავის თავში დაჯერებული, უზადო შუბლით, „ჩახედული"; სანდრო: გამჭრიახი, ინტუიტივი; მიხეილი: მოშვილდული, როგორც ჯეირანი ციცაბო კლდის პირას, თუ დასჭირდა, უფსკრულს გადაევლება თავს. ექვს ქართველს—გრძნობით ამას—მცველად კარდუს აჩრდილი აფარებია: მარჯვისათვის. ამ ექვსიდან: ვარლამს ვიცნობდი გაკვრით, გიორგი არ მინახავს, არჩილთან დაახლოვებული ვიყავ ფრიად, კომანდოსთან ერთი საღამო გავატარე პარიზში, სანდროსათვის თვალი მომიკრავს, მიხეილის მეგობარი გავხდი. აღარ არიან ამ სოფლად: აღარც ვარლამი, აღარც გიორგი, აღარც არჩილი, აღარც კომანდო, სანდრო თუ ცოცხალია არ ვიცი. „ვა, სოფელო, რა შიგან ხარ!" დარჩა მიხეილი.

***

კონფერენცია ნაციონალისტთა და ანარქისტთა? გაგონილა სადმე ასეთი შეთავსება? მაშინ მეეჭვებოდა ეს, გონებით, გული კი სხვას მეუბნებოდა. ეხლა რომ ვუკვირდები ამ უცნაურობას, გულით მონაქროლი გონებითაც მართლდება. მართლაც: თუ მოიშლებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ—ანარქიზმის მიზანი ესაა—მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამუტივით თავს აწვა საქართველოს, დაიმხობოდა სახელმწიფოებრივი მხრით, და, როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქავდა. აი ქვეშეცნეული ხაზი ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიური ბრძოლისა, ხაზი, რომელიც, ჩემი წვდენით, გეზად გახდა ხსენებული კონფერენციისა. უნდა შევჩერდე ვარლამზე.

***

მაოცებს ვარლამის მოვლინება. მსოფლიო ისტორიაში იგი ერთადერთია როგორც ანარქიზმისა და ნაციონალიზმის შემზავებელი. მოწყვეტილი მამულს, მოცილებული დედულს, ბავშობიდანვე უცხოეთში გადახვეწილი, მარტო თავის თავს მიყენებული, იგი, სათნო და გულჩვილი, „ანგრევს" წარმოსახვით სახელმწიფოებს.

ამავე დროს დარბის თავქუდმოგლეჯილი, ხან ამ სამინისტროში შევარდება, ხან იმ სამინისტროში, არ ასვენებს არც ერთს უწყებას, გაიხსნება რაიმე კონფერენცია, უმალვე იქ გაჩნდება, თავს „აწუხებს" გამოჩენილ პოლიტიკოსებს საფრანგეთში თუ ინგლისში თუ კიდევ სად, აქვეყნებს ჟურნალებში და გაზეთებში წერილებს, იბრძვის ქადაგად დაქადნილი—იბრძვის ტრაქტატისათვის, საქართველოსა და რუსეთის შორის 1783 წელს დადებულისა. ალბად „შერეკილი" ეგონათ, „გადაქანებული", ხანდახან „სასაცილოც". გარნა სასაცილო არაა სერვანტესის უკვდავი რაინდი, რომელიც იმავე დროს და—ესაა უმაგალითო მსოფლიო ლიტერატურაში—გენიით არის აყვანილი! ამავე გენიით იყო აღტენილი ვარლამი: იგი კარდუს დონ კიხოტია! გენიის „სიგიჟეს", „მანიას", ლომბროზოს ბრიყვული თეორიით ხსნიან მრავალნი. ავიწყდებათ ან და არ იციან „მანიის" მეორე მხარე: „წმინდა შეშლილობა", რომელიც ცნობილი იყო ანტიურ სამყაროში. ამ „შეშლობის" გარეშე—შეეკითხონ დიდ პლატონს—იქ ვერ ეგულვათ: ვერც პროფეტიული წინჭვრეტა, ვერც პოეტური ხილვა და ვერც საღვთოს გადმომშლელი აზრი. ვარლამი იყო „მანიით" ქურვეული—პლატონის აზრით. ქურვეული—ვინაიდან კარდუს მოლანდებით აღვივებული. აღვივებული—რადგან საქართველოს ქვეძირებიდან სულდგმული. აქ ერთი გასაშტერებელი ამბავი, მეტყველი იმისა, თუ რა ღრმად იყო იგი იმ ძირებში ჩაფესვილი. ბავშობიდანვე სამშობლოს გარე მყოფს გადავიწყებული ჰქონდა ქართული. იცოდა: რუსული, ინგლისური, ფრანგული. სიკვდილის ჟამს რუსულიც დავიწყებოდა, ინგლისურიც და ფრანგულიც—თურმე ქართულად იწყო ლუღლუღი.

აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! მარტოდ მარტო „ტრაქტატი" ეჭირა ხელში?! „ტრაქტატი" აქ მხოლოდ გარე-სახე იყო კარდუს „მზიური ელვარისა", რომელიც—მეწამული და შუაგულ თეთრ-ალ-გაწვდილი—ბაგრატიონთა ალამად გაიშალა. (ამ „ალამის" შესახებ „მესამე საუბარში" კარდუსთან.) მიხეილმა იმ „ელვარით" მიიღო ნათელი ვარლამისაგან. გრძნობს ამას იგი?

***

ვარლამის „ლუღლუღი" სიკვდილის წინ მიხეილმა, ვთქვათ ასე, ამეტყველა როგორც ფესვებმწდომმა ფილოლოგმა. არ იფიქროს მკითხველმა: ვსჯიდე აქ ვითარ „სპეცი". მე ენათმეცნიერი არა ვარ და კარგად ვიცი, სად თავდება ჩემი საზღვარი. ხშირად ვეხები ენას, საკუთრივ ქართულს—ხოლო ეს შეხება „ფილოლოგიური" როდია. მაგალითისათვის „მარხვა" და „ხსნილი". ფილოლოგები გადაშლიან ამ სიტყვებს ყოველი მათი რადიუსით—დარჩება აუხსნელი მათი შინაგანი საზრისი: ლოგოსი. უკანასკნელის „გამოშიგნვა"—ილიას საყვარელი სიტყვა კიდევ ერთხელ რომ ვიხმარო—ფილოსოფიის საქმეა. ერთს ნარკვევში კიდეც ვცადე გადმომეფინა ქვეფარული დენა „მარხვისა" და „ხსნილისა", დენა უნივერსალური მნიშვნელობისა. ლოგოსის ცნაურება ქართულში—(ზემო მოყვანილი მაგალითი იქ მხოლოდ წვეთია)—ისე ელემენტურია, რომ იგი ენათა შორის სასწაულად მეჩვენება. აი რას ვიკვლევ ქართულში!

***

მიხეილი „იმპრესიონისტია" ბუნებით: უშუალოდ აღქმულ შთაბეჭდილებას უშუალო „რეფლექსით" ხვდება. ეს თვისება სახიფათოა, განსაკუთრებით მეცნიერისათვის, თუ—თუ მას „ალღო" აკლია. მიხეილს კი ალღო თანდაყოლილი აქვს. აქ ერთი საოცარი წვლილმანი. ბერლინში მას ხშირად ვეთამაშებოდი ჭადრაკს. თამაშის დაწყებისას იგი ყოველთვის—როცა ის იყო ამრჩევი—თეთრს ფიგურას აგნებდა ჩემს ხელში. მაოცებდა ეს. გავიფიქრე: შესაძლოა ჩემი ცოდნა, თუ რომელ ხელშია დამალული „თეთრი", ვინაიდან აზრი მძაფრი მაქვს მუდამ, მასზე გადადის მეთქი. მივმართე ეხლა ასეთს ფსიქოლოგიურ ხერხს: ფიგურებს ისე ვიჭერდი, რომ მე თვითონ არ ვიცოდი, რომელ ხელში იყო „თეთრი" და რომელში „შავი". ჩემი გუმანი გამართლდა, ხოლო მისი ალღო მაინც ძლიერი რჩებოდა: ხუთს შემთხვევაში სამჯერ მაინც, თუ არა მეტჯერ, „თეთრი" მიხეილს ხვდებოდა. ეხლა მეორე. მიხეილი „სუბიექტივისტიცაა" ხასიათით. ეს თვისებაც სახიფათოა, განსაკუთრებით მკვლევარისათვის, თუ—თუ მას აკლია „სუბსტანცი": შინაგანი თვითება. მიხეილის „თვითება" გურკა-მაგარია, ბირთვ-მტკიცე. ალღოიანი იმპრესიონისტი და თვითება-მაგარი სუბიექტივისტი: მიმგნებია, მხედვარი, აღმომჩენი. მიხეილიც მიმგნებია, მხედვარი და აღმომჩენი. ამის დასტურს იძლევა მისი კვლევა ქართულისა და სუმერულის ნათესაობის ირგვლივ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია თუ არა მისი ჰიპოთეზი? პირადად ჩემთვის—უთუოდ. მხოლოდ ერთი განხრით. მიხეილის ჰიპოთეზი არღვევს, ცხადია, ნიკო მარის „იაფეტიდური“ თეორიას. ეს თვითონ მიხეილსაც აღუნიშნავს და ხანდახან მკაცრადაც. მე კი მარის თეორიაში ერთი რამ მაფიქრებს ფრიად გულისხმიერი. მარი იკვლევს ენებს არა ევროპაში ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცებული მეთოდით—იგი იკვლევს მათ ისე, როგორც ხანათა მკვლევარნი: „ქვის“ ხანას, „ბრინჯაოს“ ხანას და ასე მიყოლებით. ეს ხანანი განვრცობილნია ქვეყანაში რადიუსურ ისე, როგორც კლდის კეცეულნი მთაში. პირველნი ენანი—ლოგოსის მცნაურებულნი უნივერსალურ—ამგვარად განფენილ კეცეულებად შერჩენებიან და მათში ყოვლის უწინარეს ქართული, ჩემი გზნებით: უპირვანდელესი. თუ ეს მართალი გამოდგა—რაიცა მერმისის საქმეა—მაშინ მკვლევარისათვის მარის თეორია, თუცაღა მის მიერ ამ მხრით საკმაოდ არნათელყოფილი ერთს მუხლში, რომელიღაც სხვა მოზომვით, გამართლდება.

* * *

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ბერლინის ქართველთა სათვისტომოში სხდომა გაიმართა—(არ ვხმარობ „კოლონიას“: იგი აქ სრულიად უადგილოა). სხდომას თავმჯდომარეობდა განსვენებული ლადო ახმეტელი. სიტყვები წარმოსთქვეს: განსვენებულმა შალვა ამირეჯიბმა და გიგო დიასამიძემ. მეც ვილაპარაკე. ღერძი სხდომისა მიხეილის მოხსენება იყო. გასაოცარი ცოდნით და კიდევ უფრო საოცარი სიყვარულით გადმოგვიფინა მან ნაშრომი დიდი „მომნივთებელის“ საქართველოს ისტორიისა: ივანესი. ალაგალაგ თავისს ნაკვლევებსაც იხსენიებდა—ამას საგანი მოითხოვდა. ბოლოს თავმჯდომარემაც ილაპარაკა. მახსოვს, სთქვა მან: „ამდენი ხანია გადმოხვეწილობაში ვიმყოფები და რაც დღეს განვიცადე, ასეთი რამ არ განმიცდიათ“. ეს განცხადება უმთავრესად მიხეილის მიმართ იყო გულვებული. მიხეილმა ამ მოხსენებაში—რომელიც შემდეგ „ქართველ ერში“ დაიბეჭდა—მოხაზა ამოწურვით ივანეს ადგილი ქართველოლოგიაში და მით: მისი საკუთარიც იქვე. ვიცი—და ეს თვითონ მიხეილმა უკეთ იცის—რომ ივანემ ქართველოლოგიაში გაცილებით უფრო მეტი გააკეთა ვიდრე მან. ხოლო ნუ დაგვავიწყდება, რომ ივანე უმთავრესად „მხოლო“-მეცნიერი იყო, მიხეილი კი თანვე პოლიტიური მებრძოლიც. საგანი კი როგორც იქ, „კვლევაში“, ისე აქ, „ბრძოლაში“, ერთი და იგივე: **საქართველო.** დავისახავთ რა ამას, მივიღებთ: ის, რაც „იქ“ აკლია მიხეილს, ემატება „აქ“ სამაგიეროდ. წონასწორობა იმართება—ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. მიხეილი ივანეს „გვერდით“ დგას. ესაა „ჩემი“ რწმენა, ღრმა.

* * *

ეხლა დროა, თვალი მოვავლოთ ოდნავ არეს, სადაც მიხეილი როგორც პოლიტიკური მებრძოლი იმართება. ჩემი სიტყვა არც აქ იქნება სხვა „სპეცისა“, ვინაიდან პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარ. არ ვარ: არა იმის გამო, ვითომ პოლიტიკის არა გამეგებოდეს რა. არა ვარ იმის გამო, რომ ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებული: მწერალი, რომელიც პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკას ვერას არგებს, თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მიაყენებს. „თქვენი ერთი გერმანული წიგნი, სადაც მოხატულია ერთი პოლიტიკური პიროვნება“? მესმის შეკითხვა. ჩემი გადაჭრითი პასუხი. მოახდინოს მკითხველმა ერთი უბრალო ცდა: წიგნის კითხვისას არ გაუშვას გონებიდან ერთი ღიად არ თქმული, ხოლო ქვეფარულად გაყვანილი აზრი—„თუ მოსახული პიროვნება აქ მოვლებულ ხაზებში ავლენს თავის თავს“. იგი იქ „დათუებულია“. დაინახავს ერთს რამეს, ვფიქრობ, უფრო გულისხმიერს ვიდრე „პოლიტიკას“, ამ სიტყვის დღევანდელ გაგებით. ჩემი „განმარტება“ მზადაა გამოსაქვეყნებლად.

სულ სხვაა „მამულიშვილობა“. იგი მეტია ვიდრე „პოლიტიკა“ და დავუმატებ: მეტია ვიდრე „პარტიაც“. ნოე ჟორდანია მარქსელია—მე, არა მარქსელი, ვთვლი მას შესანიშნავ მამულიშვილად. არ მჩვევია „ზალდიმ უმიმ“ რამეს მტკიცება—წაიკითხონ ჩემი ესკიზი, 1920 წელს გამოქვეყნებული, სადაც მოვხაზე ჟორდანიას პიროვნება. მარქსელია აკაკი ჩხენკელი—ვიგულვებ თავდადებულ მამულიშვილად. ევგენი გეგეჭკორიც მარქსელია—ძალიან მაგარ მამულიშვილად მიმაჩნია. აქ ერთი დეტალიც, პირდაპირ „ისტორიული“—გამოადგებათ ოდესმე ქართველ პოლიტიკოსებს. 1943 წელი, იენისი. ევგენი გვაცილებს. მივდივართ სალამორელე. წინ: გიგო დიასამიძე და ალ. ქორქია, უკან: ევგენი და მე. ევგენი დაბალი ხმით: „გრიგოლ! ჩვენი

ერის ბედს ნუ გადავაბამთ ერთი ერის ბედს!" სიტყვასიტყვით. დააკვირდით ამ „ერთს": იგი აქ მარტო რიცხვს არ ნიშნავს! დააკვირდით, თუ „როდის" იყო ეს თქმული! დაინახავთ: პოლიტიურ გამჭრიახობასთან ერთად მამულიშვილურ ზრუნვასაც (და მერე რამხელას?). მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, გარდაცვლილებიც გავიხსენო: კარლო ჩხეიძე და ვლასა მგელაძე, ისინიც მარქსელნი და თანვე გულმხურვალე მამულიშვილნიც. პირველი — ნელი, ყუდრო ცეცხლით აღვივებული, მეორე — შმაგური ალით „ავარდნილი". შემთხვევა უნდა გამოვიყენო და კარლოს შესახებ ესეც უნდა ვთქვა: გონიერი კაცი იყო, ხოლო ისეთი, რომლის გონი მაინც და მაინც „თვალში არ გეჩხირებოდა". სტამბოლში ვართ — გაიხსენეთ საქართველოს დელეგაცია პარიზისაკენ მიმავალი. შევდივართ ერთხელ „აგია სოფიის" ტაძარში. ვაკვირდები კარლოს — განცვიფრებულია. მესმის თაყვანებით დამძიმებული სიტყვა: „გრიგოლ! „ილიადაა" ჰომეროს, ქვებით აგებული!" ერთი მოსხლეტით მოხატა ტაძარი.

***

მიხეილის პოლიტიური ბრძოლა საქართველოს „თავისთავადობის" აღდგენისათვის საკმაოდ ცნობილია. ნათქვამს აქ არ გავიმეორებ — მით უფრო, რომ დღეს სხვებიც გადმოშლიან, ერთხელ კიდევ, ამ ბრძოლის დრამატიულ ხვევულებს. მე შევეხები მას როგორც „თეთრი გიორგის" რაზმის მესვეურს. და, რასაც ამ მხრით მის შესახებ ვიტყვი, ეხება აგრეთვე მის თანამებრძოლთაც. სახეში მყავს უმთავრესად ლეო კერესელიძე, დაღუპული 22. 11. 1943 ბერლინის ყუმბარებით დამეწვისას.

ვინც საქართველოსათვის საქართველოს შუაგულიდან გამოდის, იგი „თეთრი გიორგის" გვერდს ვერ აუხვევს. „თეთრი გიორგი" რაინდია ქართველობის და რაინდი: „წმინდა". განიხილეთ ალავერდობის მისტერია, გადმოფინეთ ფენომენი ლაშარისა — ლაშა: „სხივოსანი". „ბრწყინვალე": ლაშარი იგივეა მთაში, რაც ბარში თეთრი გ. — დაინახავთ, რომ ეს ასეა. ეს განხილვა, ეს გადმოფენა მე მიცდია არა ერთხელ: ნათქვამის გამეორება ყოველთვის არაა სათანადო. აქ ავამეტყველებ მხოლოდ ორიოდე „წვლილმანს". 1918 წელს საქართველოს ერგუნა დაკარგული სუვერენობის აღდგენა. მმართველებათ მას მარქსელნი მოექცნენ თავს და არ: სახელმწიფო ღერბისათვის ინტერნაციონალისტებმა თეთრ გიორგის მიმართეს. სხვათა შორის: წარწერა ამ ღერბზე ჩემი ხელითაა გაყვანილი. დაარსდა მწერალთა კავშირი განსვენებული კოტე მაყაშვილის მეთაურობით — (აი კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი; გული მწყდება, რომ მისი ხსოვნა ჯერ კიდევ არ აღმინიშნავს). მწერალთა „დღედ" ავირჩიეთ მაისის მეხუთე დღე: დღე „გიორგობისა" ახალი სტილით. ამ „დღეს" საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც ვდღესასწაულობდით. პირველ წელს დღესასწაულზე მე ავიღე სიტყვა: გადმოვშალე „გიორგი" როგორც მისტერია ქართველთა — (მაშინ კიდევ შეიძლებოდა ასეთს საგნებზე საუბარი; მახსოვს მაგალითად: გიორგი ლეონიძემ ერთხელ თემად აიღო „საქართველოს მესიანიზმი"). იმავე ხანებში პავლე ინგოროყვამ გამოსცა ლიტერატურული გაზეთი „ლაშარი", საცა მეც ვიყავი მონაწილე. გაზეთმა ერთი დღე იცოცხლა. დაახლოვებით ამ დროსვე პარიზში წარმოიშვა რაზმი „თეთრი გიორგისა". არავითარი „პოლიტიკა" არ ყოფილა თეთრი გიორგის ხსოვნით აღდგენაში იქ, საქართველოში. არავითარი კავშირი არ ყოფილა გაბმული ამ „ხსოვნის აღდგენისა" და უცხოეთში მის „რაზმულად" დგენის შუა. ყველაფერი ეს მოხდა თავისთავად, მოხდა: რადგან ამ ამბებში საქართველოს „შუაგული" ფეთქდა. მიხეილის გული ძგერდა და ძგერს სწორედ ამ შუაგულიდან და მისთვის ვაფასებ მას როგორც ნამდვილ ქართველ მამულიშვილს. ეს მამულიშვილობა გადაძლევს თვითონ „დარაზმულობასაც", მის ნიადაგზე პოლიტიურად განრიგებულს.

***

„გადაძლევს". ამით ერთი რამ მინდა აღვიარო აქ, რაიცა ხშირად გამიფიქრია, ხოლო არ გამომითქვამს. „თეთრი გიორგი" ცოცხალი „ხატია", ქართველთა მისტერიისაგან შობილი. როგორც ასეთი მისი „ყოფადება" მხოლოდ მისტიური გზით თუ შეიძლება. ამ „ყოფადებას", ვფიქრობ, მხოლოდ „ორდენის" სახით ძალუძს განსხეულდეს. გაიხსენეთ პითაგორელთა ორდენი. იგი რიცხვმრავალი არ ყოფილა — რადგან ყველას, ძალიან მომდომებულსაც კი, არ შეეძლო გამხდარიყო მისი წევრი. წევრობისათვის საჭირო იყო: მზადება შინაგანი სულითა და გონით. მზადება, არა როგორც „სწავლა" საიდუ-

მლოთა—ეს ყველას შეუძლია. საჭირო იყო: „ხილვა“ საიდუმლოთა და „ხილვა“ როგორც „წვდენა“ სიღრმისა და „წვდენა“ როგორც უშუალოდ „დგენა“ ხილულისა. (ყველაზე უფრო ღრმად ეს გეზი „ქცევისა“ დიდმა პლატონმა აცნაურა მსოფლიოს.) სულისა და გონის ამ გზით ზრდასთან ერთად საჭირო იყო „ხასიათის“ მტკიცება—(გაიხსენონ ქართველებმა გენიალური ხტილი ქართული სიბრძნისა: „მტკიცება — „გამაგრება“, თანვე — „გაწმენდა“: ფქვილს ვწმენდთ ჩვენ „სამტკიცით“). საჭირო იყო „წვართი“ ხასიათისა: წვართი ყოველი ღვარძლისაგან „განმწმენდი“. ორდენი საიდუმლოებით იყო მოცული—ეს იმისათვის, რომ მისი იდეათა სამთავრო „პროფანებს“ არ წაერყვნათ. ეხლა წარმოისახეთ, რომ საქართველოში ამგვარადვე გაიმართა ორდენი „თეთრი გიორგისა“. დაინახავთ თვალნათლივ, რომ იგი მართლაც შესძლებს გარდაქმნას შინაგან საქართველოს ყოფა, რაიცა, როგორც ყოველი ყოფა საფრხესკენაა განწრილი—(ამას იგივე ქართული სიბრძნე გვასწავლის: ყოფა „ცდაა“, „ცდაში“ „ცდუნებაცაა“, „ცდუნება“ „ცდენისაკენ“ იხრება, „ცდენა“ „აცდენით“ ისხლიტება). პოლიტიკურად ასეთი ორდენი „ხელმწიფის“ სწორუპოვარ იდეასაგან გამოვა. „ხელმწიფე“ არ ჰგულისხმობს მაინცა და მაინც მეფეს, იგი იგულვებს მხოლოდ „მწიფე ხელს“: სულ ერთია, იქნება იგი მონარქია თუ რესპუბლიკა თუ კიდევ სხვა რამ. მეტი კიდევ: ამ ორდენის წევრებს შეუძლიათ იყვნენ სხვადა სხვა პარტიებში პოლიტიურად, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ ეცდებიან ზეპარტიულ არეში გაიყვანონ ლაშქრის ხაზი. ვხედავ: გადავცურდი უტოპიაში. რა ვქნა? ლაშქარს თუ შეეხე, უთუოდ „გადაგძლევს“.

* * *

მოვაჩუქუროთმო დეტალები მიხეილის ხასიათისა? რატომაც არა! ესეც საგულისხმიერო ფრიად. 1. მიხეილი ოხუნჯია და უყვარს გახუმრება—„თუ გუნებაზეა“. ვზივართ ყავახანაში. შემოდის დავით ლამბაშიძე. მოგვკრავს რა თვალს, წევს მაღლა წარბებს და აპრილიალებული იბადრება მზესუმზირას ღიმილით. მოუჯდება ჩვენს მაგიდას. ვისმენ დიალოგს. მიხეილი: **„Я им покажу!“** დავითი: **„Болваны этакие!“** ეს ვარლამ ჩერქეზიშვილის სიტყვარიადანაა. ორივე „სცინებენ“ ვარლამს. კილო „ყოფილი“ ბატონის, დიდრაჯა მბრძანებელის, რომელსაც სამბრძანებელი ოცნებაში შერჩენია. ხმა: ბოხი, ხოლო თითქო „ჩახველებული“. მიხეილი: **„Сукина порода!“** დავითი: **„Сволочь!** ანეკდოტი ანეკდოტს მოსდევს. დავითი მოყოლაში მრეობს— აქ ის მაესტროა. სახის მიმიკაში მიხეილი ძლევს — თვითშობილი მსახიობია. ვარლამის აჩრდილი სხეულს ისხამს: თვალწინ იქრება სერვანტესის რაინდი. რაინდი კიდევ „ისვრის“ სიტყვას: სიტყვა „შეკურთხებაა“, კიდევ უფრო მაგარი. **„Ну и пошёл дядя!“** ამას კრაპოტკინი აწვეთებს—ვარლამს იგი თურმე **„Дядя“**-ს ეძახდა. დიალოგი გრძელდება. სიცილი მატულობს, რაიცა სიყვარულია მხოლოდ. 2. ეხლა დავითთან ვზივარ იმავ ყავახანაში. შემოდის მიხეილი—გვიერთდება. „რას მიირთმევ, მიხეილ?“ უმასპინძლდება დავითი. „ანსბასხურ“ გენაცვალე“. დავითი დაუკვეთს. მიხეილი გაზეთებს ეძებს. დავითი მიჩურჩულებს: „ჩემს ჯიბეს არ კითხულობს, ლუდს არ კადრულობს“. მიხეილი გვიახლოვდება. „ხმიადი რა დაგიკვეთო?“ ეკითხება დავითი. „პრაგენ შინკენ, შენიჭირიმე“. დავითი ღიმილს მალავს, უკვეთს ამასაც. მიხეილი ყავახანის დიასახლისისაკენ მიეშურება მისასალმებლად. დავითი მაწვეთებს „რა იქნებოდა, უბრალო ძეხვი აერჩია!“ ეხლა მეც ვიღიმები. და ასე: უყვარს კარგი სმაჭამა მიხეილს— ვის არ უყვარს იგი? მაგრამ: მიხეილი სიმშილს გადაიტანს და მდარე სასმელს თუ საჭმელს არას გზით არ ინებებს. 3. კვლავ ყავახანაში. მიხეილი დავითს: „როგორ ხარ, ბიჭო?“ დავითი: გარდაქეშანივით—შენ როგორ ხარ?“ მიხეილი: „ძლივს ვაბოგინებ ფეხებს“. დავითი თვალს მიქნევს. მიხეილი სატელეფონისკენ მიდის. დავითი: „შენცა და მეც გაგვისტუმრებს იმ სოფელს, დამიჯერე: უყვარს თავისმოკატუნება“. ვიცინით ორივე. „სულ წუწუნებს“, უმატებს დავითი. 6. მიხეილმა ხანდახან აკვიატება იცის: „აიჩემებს“ რაიმეს და: ვერც რაიმეს დააჯერებ და ვერც გადააჯერებ რაიმეში. ასეთ დროს მე მივმართავ ხოლმე პითაგორელთა ხერხს: არ შევეცილები „პირდაპირ“, მხოლოდ „შორიდან“ მოვუვარ საგანს, თითქო მის ირგვლივ არც კი იყოს საუბარი. მიხეილი მისმენს: ჯერ შეეჭვებით, მერე გულდასმით და ბოლოს—ან იმ დღეს ან სხვა დღეს—„არმაილებს“ „ანაჩემებს“, ისე, თითქო ეხლა წამოყო თავი უკანასკნელმა. 7. მიხეილს უყვარს ჩვენი საეკლესიო გალობა და გალობს კიდეც 2 თუ 3

კაცისაგან შემდგარ გუნდში—სამწუხაროდ მხოლოდ პანაშვიდის გადახდისას (არც საკვირველია: წირვალოცვა ჩვენთვის, გადმოხვეწილთათვის, „პანაშვიდით" იაზღვრება). 8. მუსიკასაც ეტანება იგი. ყველაზე უფრო იპყრობს მას რიხარდ ვაგნერი. იცის კიდეც მისი მუსიკა, იცის ნამდვილი განცდით. ვაგნერის ასეთი „მცოდნე" ქართველებში არავინ მეგულვება—არც ამ სტრიქონების დამწერი. 9. მიხეილი ადევნებს თვალყურს ლიტერატურას. აქაც დაკვირვებული და ჩახედულია იგი. (აქვე უნდა ვახსენო ზურაბ ავალიშვილიც: დიდი მცოდნე იყო ლიტერატურისა და თანაც ღრმად გამგები.) ხშირად უქია მიხეილს ჩემთან რომენ როლანი. „მუსიკიდან მოდის მის თხრობათ", უთქვამს. „მუსიკა" აქ რასაკვირველია არ ნიშნავს „კეთილხმოვანებას". 10. ისევ ყავახანაში. შემოდის არჩილ გომართელი. „ბოვუშოო"—ეგებება მიხეილი ღიმილით. ეს „პაროლია" საპაექრო. იმართება სწორუპოვარი „აკამათლება" ზემოიმერული კილოსი. აქ არჩილი სჯობნის მიხეილს, რომელსაც ეს კიდევ უხარია. ეხლა მეგრელი გამოჩნდება. მიხეილი აკნინებს ხმას და შემპარავი გლინვით გადადის მეგრულში. „სქანი" და „პატენი" ერთიმეორეს ეცვლებიან როგორც ყვირილები ვარიების წრეში. მიხეილს აქ ვუკოლ ბერიძე თუ გაეტოლება. ანაზდეულად გურულიც შემოყოფს თავს. მიხეილი სხაპასხუპით: „ასტარანას როგორ ყიდი, ძიაუ, ასტარანას კასტარანას? ეს ჩემთვის ესპერანტოა. ნიშნავს თურმე: „ას ტარანს, კარგს ტარანს". ეხლა მეც მოვდივარ „ეშხში". ვყვები აკაკისაგან გაგონილ ანეკდოტს. სოლომონ მეფეს კბილი ასტკივდა — დარბაისელნი „ართობენ". ამირეჯიბი თუ ამილახორი: „მაგითანა კბილს კიი"—ბოლო უცენზუროა. ეხლა წერეთელი: „აგრე მოგიხთება!" პაუზა—გაოცების. შემდეგ მოსხლეტით: „აქეთ ოსმალოს ეცი, იქით ვიღაც ძაღლთაპირს — აბა რა კბილი გაგიძლებდა?!" ვიცინით: იქ „ქართლელი", აქ „იმერელი". „ეშხში მოსვლა აბა მე მკითხეთო!—ამას დავით თუ ფიქრობს და იწყებს მოყოლას, რამაც ცენზურა არ იცის. ქართველ ხალხს „უცენზუროს" „მოდაღვაში" არა მგონია რომელიმე პოეტი შეედაროს, იყოს იგი თუ გინდ გენიოსიც.)

⁂

ეხლა მიხეილი ბავარიაში იმყოფება, სადღაც მივარდნილ კუთხეში. ზის ალბათ პატარა ოთახში ვითარ განდეგილი სენაკში. სადღაა ის შეხვედრანი? სადღაა ის ხალისი? ზის განმარტოებული და სდუმს როგორც მარტვილი. დაღონებულია, დამწუხრებული. სდუმს: მხოლოდ გულისცემას უგდებს ყურს—(გული საწყაულს მოელის ყოველთვის). იღვენთება: აგონდება საყვარელი ვაჟი, ერთადერთი შვილი, ომის ორომტრიალში უკვალოდ დაკარგული. ხმაური მოესმის—კარებისაკენ მიაქცევს თვალს. გული ამოვარდნას აპირებს—(ვინ იცის: ეგებ უეცრად ძველებურად შემოანათოს ოთახმა). არავინაა—სულში ფართოვდება სიცარიელე. „ვაი მე, შვილო!" აღმოხდება საცოდავ მამას. იწმენდს ცრემლებს. თავს იმაგრებს კიდევ. შემდეგ მაგიდას მიმართავს. იქ ჟურნალი დევს ასსირიოლოგიისა. ფურცლავს მჭნარი თითებით. კითხულობს. გადადის ნელინელ ათასწლებში. ალაგალაგ სუმერული სიტყვა ამოყოფს თავს—სიტყვაში ციალობს ცინცხალა ფესვი ქართულისა. ეხლა საქართველოს ძირებში იძირება მკვლევარი. („განდეგილი" ეხლა „ივერონის" მარტვილს მაგონებს, გიორგი მთაწმინდელს—სახეც მიუგავს ეხლა, მოხუცებულობაში, შეუდარებელ სახეს ქართველი წმინდანისა, ლოცვებში შინაგან ანთებულისა.) ჟურნალს განზე გადადებს. შემდეგ წვდება ტექსტს „ვეფხის ტყაოსნისა", მის მიერ დაწმენდილს და განმტკიცებულს—(„წმენდა": „სამტკიცი"). ერთხელ კიდევ გადახედავს მას. შემდეგ გადასინჯავს კვლავ ტექსტის გერმანულ პროზაულ თარგმანს, მის მიერვე შესრულებულს. შრომისათვის თავსდაურთავია სიტყვარი—ამასაც განიხილავს ხელმეორედ. ბოლოს შეუდგება ტექსტს „ჟამთააღმწერელისა"—სწორუპოვარს სამატიანო მწერლობაში. ეხლა იფესვება „ქართლის ცხოვრებაში": ღრმა ჩახედვით და ნელად აღვივებული სიყვარულით. „ცხოვრებაჲ ქართლისაჲ" ზღვაშია მისთვის—ეზიარება მას. გულდათუთქული იფერფლება საქართველოს მარადულ ქვეფენებში. ფენები იშმუშნებიან მასში—თვითონაც იშმუშნება როგორც შავარნა—(„შავარნა: მზისაგან დამჭნარი მხალი რა მოიწყოს, აცოცხლდეს", გვიხსნის საბა). მზერებში იმართება. მამულის ფესვებიდან ამოდის ეხლა ვითარ ახლადშობილი.

⁂

და მაინც: გული ალარ უხარის. გულს არჩენს მხოლოდ გული. არის სადმე ასეთი გული, გადაიხსნას მრჩენელად მისი გულისა?

***

ქართველნი გულმავიწყნი არიან: გულმავიწყნი—რადგან უდარდელნი; უდარდელნი—ვინაიდან მზიური ჯიშისა. („გულმავიწყობა“ არც ისე დასაძრახისია: ეს რომ არ გვქონოდა, შესაძლოა, ვერც გადაგვეტანა ამდენი უბედობა, საუკუნოებში თავსდატეხილი!) „მავიწყია“ ქართველის გული. ხოლო: თუ ამ გულს ერთი ნაბერწკალი მოხვდა მეორე გულის ცეცხლიდან, მაშინ—მაშინ არც ერთს გულს ქვეყანაზე არ ძალუძს წყაროს ხალასი თვალივით გადაეხსნას სხვა გულს როგორც მას: გადაეხსნას გახარებად და გასახარებლად. (ტყუილად კი არ მოეპოვებათ ქართველთ მათს გენიალურ სიტყვაში ეს უგენიალესი სიტყვაც: „გული“. როგორ ვადარო მას, შინაგანი პლასტიური ხმიერებით: ლათინური Cor ან ფრანგული Coeur ან გერმანული Herz ან რუსული Сердце?) ამ „ბარდულში მოგონებათა“, ვფიქრობ!—ხელხლებული კერა, სადაც ყუდროდ ღვივა ქართული ცეცხლი. დარწმუნებული ვარ: ორიოდე ნაბერწკალი მისი ჩემს თანამემამულეთ მოხვდებათ და მჯერა: მათი გულები გადაიხსნებიან დღეს მიხეილის დათუთქული გულის მიმართ. სიტყვა, შესაძლოა, საჭიროც აღარ იქნეს—გული უმართლესი სიტყვაა თვითონ.

გრიგოლ რობაქიძე

ნოემბერი 1948
ჟენევა

---

დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში

წიგნი მეორე

## მარიამ, საქართველოს უკანასკნელი დედოფალი

**ისტორიული მონოგრაფია**

(გაგრძელება *)

მეფის რძალის, მშვენიერ მარიამის ლაღობის და ზეიმების დღეებიც მალე გადაიქცნენ; საქართველოს მზე, დიდი ერეკლე ჩაესვენა**) და გიორგის გამეფების შემდეგ მარიამის მძიმე და რთული მოვალეობანი კიდევ უფრო გართულდნენ და დამძიმდნენ. მაგრამ არც ეს „გადედოფლება“ ჩატარებულა ადვილად და უმტკივნეულოდ — მშვენიერ მარიამისათვის... აქაც „გართულებანი“ და უსიამოვნებანი დაუხვდნენ წინ მას, ისე, როგორც გათხოვების ჟამს...

ეხლა თუმცა ერეკლე აღარ იყო, მაგრამ ძლიერი და ზვიადი დარეჯან დედოფალი ძველებურად დედოფლად რჩებოდა, ისევ მხნეობდა და მბრძანებლობდა და მას მრავალი მომხრენიც ჰყავდნენ სასახლეშიც და გარეთაც. დარეჯანს იმდენი პატივი ჰქონდა მოპოვებული და ბოლო ხანებში იმდენად იყო სამეფო საქმეებთან დაახლოვებული, რომ ეხლა მისი „გარედ“ დატოვება აღარავის შეეძლო. ამ გარემოებას ეხლა უკვე საკმაო ტრადიცია ჰქონდა: როგორც ვიცით, ერეკლეს დაუძლურების დღიდან მეფის კარზე თითქმის ყველაფერს დედოფალი დარეჯანი განაგებდა***); მას ხელთ ეპყრა ყველა ქსელები: დიპლომატიური თუ პოლიტიკური, ჰქონდა ურთიერთობა მეზობელ სახანოებთან, სახელმწიფოებთან, რუსეთის კართან და მინისტრებთან.

დარეჯანი ხომ ისეთი მმართველი არ იყო, სახელმწიფოს მომავლისათვის მტკიცე გეგმა და ორგანიზაცია წინასწარ გამომუშავებული არ ჰქონოდა. და თავის დროზე დედოფალი იმდენად უფრო ფხიზლობდა და დაფარულ ენერგიას იასკეცებდა, რამდენადაც მისი საყვარელი მეუღლე და ბატონი მეფე უძლურდებოდა და წლებს და ახალ მძიმე ამბებს ქედს უხრიდა. 1783 წლის ტრაქტატის შემდგომ წლებში მეფის მტკიცე ხერხემალი რუსეთზე ხშირად გაცრუებულმა იმედებმა მოხარეს... დედოფალ დარეჯანს თვისი იმედები საუბედუროდ მოვლენებით გაუმართლდა... დედოფალი ხომ თავიდანვე აყვედრებდა ერეკლეს რუსეთთან 1783 წლის ტრაქტატის და-

---

*) იხ. დასაწყისი „ბედი ქართ.“ № 1.

**) ერეკლე მეფე მიიცვალა 11 იანვარს 1798.

***) იხ. ამის შესახებ ცნობები ბუტკოვის „მასალებში“ ტ. მე-2, აგრეთვე „აქტები“ ტ. მე-2, პროფ. ალ. ცაგარელის “გრამოტები“, ტ. მე-2, სადაც მოყვანილია დარეჯანის დიპლომატიური ნოტები რუსეთის სახელმწ. კართან, სახელმ. საბჭოსთან, მინისტრებთან და სხვა...

დებას, რამაც დიდებულ მეფეს ყველა ანგარიშები წაუხდინა*).

ეხლა გიორგი მამის გზას აგრძელებდა, მაგრამ დედოფალი აშკარად ხედავდა, რომ რუსეთის კარზე სავსებით მინდობილი—სუსტ გიორგის, ერის და სახელმწიფოს გადარჩენა არ შეეძლო. რაც დრო გადიოდა, ტახტის მემკვიდრე და შემდეგ მეფე გიორგი უფრო და უფრო ებმებოდა იმ ბადეში, რომელსაც პეტერბურგიდან ჩამოსული ემისრები ბაგრატიონებს უგებდენ. და თავის დროზე განა ცოტა სცადა პეტერბურგმა ამ მახეში როგორმე თვითონ ერეკლეც გაება? ამ მრავალი ცდებისაგან მოვიგონოთ თუნდაც რუსთა ღალატის ზოგიერთი ამაღელვებელი ეპიზოდები: როგორც მაგ. ტოტლებენის მიერ ასპინძის ომის წინ მეფის ღალატით მიტოვება; ემისარ ბაკუნინის შეთანხმება შეთქმულ ზაალ ორბელიანთან მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებად, ქუჩუკ-ქაინაჯრის ზავი 1774 წლისა, როცა აღთქმული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნების ნაცვლად, რუსეთმა დასავლეთი საქართველო მთლად დაუთმო ოსმალეთს და სხვა... გავიხსენოთ ამასთან ერთად მრავალი წერილები და ნოტები ვედრებისა, რათა 1783 წ. ხელშეკრულებით აღთქმული „ბატალიონები“ და ზარბაზნები ბოლოს მაინც მოეწოდებინა რუსეთის მფარველობის ქვეშ აყვანილ — საქართველოსათვის.

მოვიგონოთ ამაღელვებელი ვედრება დედოფალ დარეჯანისა რუსეთის კარის წინაშე, როცა მოხუცი მეფე პასუხის ლოდინმა დაღალა... და ბოლოს სწორედ საბედისწერო 1795 წლის წინ დედოფლის მიერ გაფრთხილება, რომ თუ მალე დაპირებული ჯარი არ მოვიდოდა, აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს უეჭველად მოსრავდა...*). ყველა ეს კარგად ახსოვდა დედოფალ დარეჯანს, ახსოვდა, რომ მისი გაფრთხილება — ვედრების ნოტებზე რუსეთის პასუხიც კი არ გაეცა.

და ამის შემდეგ განა კიდევ შეიძლებოდა ამ ძალის ასე უანგაროდ დანდობა? შეიძლებოდა საქართველოს ბედის სამუდამოდ მასთან გადაბმა და ამით მეზობელთა საბოლოოდ გადაკიდება? განა ამ „მინდობას“ არ მოჰყვა ის საშინელი 1795 წელი საქართველოს და ტფილისის სრულ აოხრებისა, — და მის შემდეგ კიდევ დაუძლურებულ ქვეყნის განუწყვეტელი რბევა შემოჩენილ ლეკთაგან? რომელი ერთი უნდა მოეთვალა დარეჯანს? ამ გამოცდილ მმართველს, რომელმაც კარგათ იცოდა, რომ რუსეთი მარტო საკუთარის ანგარიშებით მოდიოდა საქართველოში.

დედოფალი დარეჯანი ჯერ საბედისწერო ტრაქტატის დადებისას 1783 წ. გრძნობდა, რომ კასპიის ზღვიდან მოწოლილ რუსეთის ძალას საქართველო დასაყრდენ ბაზად ეჭირვებოდა; რომ რუსეთს „ქრისტიანობის დაცვა“ საქართველოში განმტკიცებისათვის ჰქონდა მოტანილი, რათა აქედან სპარსეთის გზით მდიდარ ინდოეთში შეჭრილიყო და ამ სავაჭრო გზას მტკიცეთ დაპატრონებოდა... ეს იყო ოცნება, რომელსაც დიდი ხანია უკვე ელოლიავებოდა ჯერ კიდევ პატიომკინის დროს რუსეთის კარი**), და თუ რუსეთი ამას რამე სხვა საშუალებით მიაღწევდა, მაშინ ის საქართველოს და ქრისტიანობას იქვე ადვილად მისცემდა სპარსეთ, როგორც მან ის გუშინ ოსმალეთს მისცა (ქუჩუკ-კაინაჯრის ზავით). ეს იცოდნენ დედოფალ დარეჯანთან ერთად მისმა მომხრეებმა, სარდლებმა და ბატონიშვილებმა და ყველაზე უწინ კი — ბრძენმა კანცლერმა სოლომონ ლეონიძემ.

---

*) იხ. ბუტკოვი ტ. მე-2, გვ. 177-178... „მეფემან შეჰკრა რუსეთთან პირობა ერთად მოქმედებისა მტრების წინააღმდეგ და დარეჯანი ამ გარემოებას აბრალებდა, რომ მტრები აიშალნენ და აოხრეს ქვეყანა“-ო, სწერს მკვლევარი და განაგრძობს — „...რუსეთის ჯარების კავკასიაში შემოსვლის შემდეგ, საქართველოს მდგომარეობა უფრო სამწუხარო შექმნა“-ო... „დედოფალ დარეჯანს უფრო კარგად ესმოდა ის შედეგი, რაიც თან მოჰყვებოდა, საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ვიდრე — ერეკლე მეფეს“-ო. სწერს მკვლევარი დ. ჯანაშვილი და დასძენს: „მართლაც 1783 წლიდან საქართველო ისეთ უბედურებაში ჩავარდა, რომლის მსგავსი მას არ ენახა შაჰაბასის დროსაც...“ (იხ. დ. ჯანაშვილის „ისტორიული სურათები“, გვ. 279.

*) იხ. ხსენებული წერილი დარეჯანისა ეკატერინე მეორისადმი, („გრამატები“ პროფ. ცაგარელისა, ტ. მე-2, გვ. 119) 6 ივნისიდან 1795 წ., სადაც დედოფალი სხვათა შორის სწერდა: ინებეთ „აღთქმისაებრ ყ-დ უმოწყალესისა ტრაქტატისა შეწევნა ჩვენი აღამაჰმად-ხანზედა, რომელიცა მახლობელად ჩვენდა მდგომარე არს არმიითა თვისითა და ცდილობს დაპყრობასა ქვეყნისა ჩვენისა, რომლისათვისცა ცრემლით გევედრები...“ და სხვა.

**) იხ. „მასალები“ ბუტკოვისა, ტ. მე-2, და მე-3; დუბროვინის „ზაკავკაზიე“ და ზ. ავალიშვილის „პრისოედინენიე“...

და ქვეყანა სუსტ მეფეს, — რომელიც ასე დიდათ იყო გატაცებული სარწმუნოებრივის კითხვებით და მართლ-მადიდებელ რუსეთს ყველაფერში ნათლად ენდობოდა, — საქართველოს ბედს ხელში ვერ ჩაუგდებდენ... მათ სწამდათ, რომ ეს იქნებოდა მეფობის გაქრობა, ბაგრატიონთა აღსასრული.

და აი, აქ იყო დიდათ საჭირო სიფხიზლე და ძველებური მოქნილი პოლიტიკა; მაგრამ ამის უნარი ქრისტეს მოყვარეობით გატაცებულ მეფეს არ ჰქონდა და ამ მხრივ ხომ უფრო ნაკლებ თაოსნობის გამოჩენა შეეძლო მისს მეუღლეს, მარიამს; ეს ქალი პირდაპირის გზით მოარული, მტრისა და მოყვარის პირისპირ დამხვდური, შორს იყო დარეჯან დედოფლის მოქნილ და ბრძნულ პოლიტიკისაგან; მას გულწრფელის გატაცებით უყვარდა სამშობლო, მეფე, ბატონიშვილები, თვისი შვილები და ოჯახი და ამათ დღეგრძელობისათვის მხურვალედ ვედრებდა უფალს.

***

დავუბრუნდეთ ისევ იმ ამბებს ამ საბედისწერო დროს, ერეკლეს გარდაცვალებას რომ მოჰყვნენ. დარეჯან დედოფალი იმ ხანად გიორგის და საერთოდ რუსეთის მომხრეების პირდაპირ დატაკებას მოერიდა და ერეკლეს ანდერძს და მის ავტორიტეტს ამოეფარა; ამას უნდა შეესუსტებინა ძლიერად მოწოლილ რუსეთის ნაკადი, საქართველოს რომ წალეკას უქადდა...

და ამ დროს ანდერძის იურიდიულ უფლებაზე დაყრდნობით დარეჯან დედოფალი და მისი მომხრენი შეეცადნენ, ერთბაშად და მარტივად გადაეწყვიტათ დავა გიორგის განრიყვის შესახებ*).

საჭირო იყო სამისოდ დროის მოგება; და ალბათ ამ მოსაზრებით მიაწერინეს მგლოვიარე დედოფალს იოანე მუხრან-ბატონისათვის, რომ გიორგის ავადმყოფობის გამო, სჯობდა სიფრთხილე და მისი იქვე (ე. ი. ბორჩალო-ყაზახში) დარჩენა, საცა გიორგი იმ ჟამად იმყოფებოდა... აი, ეს წერილი დარეჯანისა:

„1798, თებერვლის 6. იოანე!

ქ. მუხრანის ბატონო სახლთხუცესო, ჩემის შვილის გიორგის შეუძლებლობა მესმის, დიახ, ვწუხვარ. მუხლებში წითელის ქარი გამოსჩენია, ასე გავიგონე. ფარეში შეინახოს, ღვინოსა და მლაშეს ერიდოს, როდესაც უკეთ შეიქმნას და წამოსვლა მოინდომოს, ცხენზედ ნუ შეჯდება, აწყენს ცხენზედ ჯდომა, ტახტრევანით წამოვიდეს. თუნდა უკეთაც იყოს, წითელი ქარი მალე შეაქცევს. უტახტრევანოთ ნუ წამოვა. ვაი ჩემს სიცოცხლესა და სულის დგმასა, რომ მე კიდევ სიცოცხლე მაქვს და ხმის ამოღება შემიძლიან. ღმერთსა ვსთხოვ ამ ღ-თის რისხვას უკან ჩემი სულის დგმა აღარ ინებოს. ფებერვლის ვქვს უპვ.

ქ. მე მგონია, რომ რამდენიმე დღე კიდევ თქვენ მანდ მოგიგვიანდებათ და ჩვენი შვილი ალექსანდრე აქ ჩვენთან გამოგზავნეთ, აღარ დააგვიანოთ. ახლავ, რასაც წამს ეს წიგნი მოგივიდეს, მაშინვე გამოგზავნეთ. მე ვიცი, რომ ეხლა ჩვენთან მოსვლის უარს აღარ იტყვის, ჟამი აქვს ჩვენთან მოსვლისა. აზის ბეჭედი: „დედოფალი დარეჯან“. (იხ. ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“, ტ. მე-3, გვ. 73). აქედან ირკვევა, რომ დედოფალ დარეჯანის მომხრენი სასწრაფოდ ალექსანდრე ბატონიშვილს იბარებდენ, რათა დედოფლის უფლებები ტახტზე გაემტკიცებინათ, მაგრამ გიორგის სწრაფმა მოქმედებამ (ის 22 თებერვალს უკვე თელავში გაჩნდა) ეს გეგმები ჩაშალა...

მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ეს „სიმარტივე“ მხოლოდ გარეგნული ფონი იყო, ხოლო მის ქვეშ, დიდს სიღრმეზედ გაშლილი იყო უძველესი ქართული ტრადიცია მეფობის და მემკვიდრეობის წესისა; დინასტიის პირდაპირ მემკვიდრეობითის ხაზით გადასვლას ასე ადვილად ვერავინ შესცვლიდა და ცდები წინასწარ განწირული უნდა ყოფილიყვნენ...

აი, ეს იყო „სუსტი ადგილი“ და ამიტომაც ძლიერი დედოფალი დარეჯანი, რომელსაც დიდი და გამოცდილი, მომხრენი ჰყავდენ, სუსტმა და სნეულმა გიორგიმ დაამარცხა; ან უკეთ რომ ვსთქვათ, მან შეატყო, რომ დამარცხება მოელოდა და შერიგება და დათმობა არჩია.

ბოლოს გაიმარჯვა არა სნეულმა გიორგიმ, არამედ საქართველოს ტახტის საუკუნოებრივმა ლეგიტიმისტურმა წესმა; ეს საკითხი ვერც დიდებულ ერეკლეს ანდერძმა შეაბრუნა; და გამჭრიახმა დედოფალმა ამ ჟამად გიორგისაგან

---

*) საფიქრებელია, რომ დარეჯანს სხვაფრივადაც აწუხებდა მეფე გიორგის მძიმე სნეულება; მან კარგად იცოდა, რომ ამ ყოფაში მეფე მტკიცე ხაზით სვლას ვერ შესძლებდა და ახლო გარემოცვის—რუსთა მხედრობის—სრულს მორჩილებაში მოიქცეოდა; ამ ყოფაში, რა თქმა უნდა, მეფე შექმნილ ფაქტებს ველარ შეებრძოლებოდა და დათმობებზე წავიდოდა. დარეჯანის მომხრეთ კი სულ სხვა ფაქტების შექმნა სწადდათ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ...

ხელწერილის ჩამორთმევა ამჯობინა, რათა გიორგის შემდგომ მაინც შესრულიყო ძალაში სახელოვან მამის და მეფის ანდერძი ე. ი. გიორგის მემკვიდრედ დავითის ნაცვლად იულონი გამხდარიყო. (ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1792 ერეკლე მეორემ (საწინააღმდეგოდ ბაგრატიონთა ლეგიტიმისტურ წესისა, რომლითაც ტახტი მუდამ უფროს ვაჟზე უნდა გარდასულიყო) დარეჯანისა და მისს მომხრე—ანტირუსული ფრთას—დიდის გამწვავების შემდეგ—დაუთმო და ანდერძით ძველი წესი შეეცვალა, ისე, რომ გიორგის შემდეგ იულონი უნდა გამეფებულიყო, ხოლო მის შემდეგ ტახტი უნდა გადასულიყო უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით მათ ძმებზე და არა უფროსს ვაჟზე. ერეკლეს ეს ანდერძი ზოგიერთთა მოწმობით, ადრევე უნდა გაეუქმებინოს... ამის შესახებ „აქტებში" ჩვენ ვხვდებით ერთ საინტერესო წერილს ერეკლე მეფისას. სამწუხაროდ, ამ წერილის დედანი დაკარგულია, დაცულია მხოლოდ ფრიად დამახინჯებული თარგმანი რუსულ ენაზე; ჩვენ ეს წერილი ისევ ქართულად ვსთარგმნეთ. აქ ერეკლე გიორგი ბატონიშვილს სწერდა: „ღვთის მოწყალებით შვილო ჩვენო გიორგი; წერილზე, რომელიც ჩვენ უძრავ მამულებზე შენს ძმებს ვუბოძეთ, მართლაც ისე მოხდა, რომ ჩვენ ბეჭედი დავუსვით, მაგრამ ის ჩემის ნების გარეშე იყო დაწერილი და ისეთის პირის მიერ დაწერილი, რომელსაც ეს არ ესაქმებოდა. ასე რომ, ის წერილი შეუსაბამო (?) და არა-რაა... მერწმუნე, ვფიცავ მშობელსა ჩემსას თეიმურაზს, მერწმუნე მე და ღმერთსა, რომ მე იმ წერილის თანახმა არა ვარ, და როცა ეს საომარი საქმე მოთავდება და ჩაივლის, მაშინ, როგორც რომ ნამდვილია, სწორედ მეც ისე შევასრულებ საქმეს და სხვა... ამაში გარწმუნებ ღვთის სახელითა, რომ არავისი მიზეზით ანუ მოხერხებით მე შენს უფლებას არ დავარღვევ და იმ ჩემს წერილს, ბოძებულს შენის ძმებისთვის, ვაუქმებ. მერწმუნე ამაში, რომ არავითარის მიზეზით მე არ გადვუხვევ არც შენს და არც ძმათა შენთა უფლებებს და ვინც არ უნდა ინდომოს, მოიქცეს არა სამართლიანად, მე მას არ დავეთანხმები"... 26-V-1794 წ. („აქტები" ტ. I, გვ. 297).

ბატონიშვილი დავითი მოწოდებაში (მანიფესტში) ქართველი ერისადმი, თვისი „ტახტთან მიახლოვების" შესახებ, „აქტები"-ს აზრით, ემყარება ერეკლეს ამ წერილს, როცა ამბობს: „ხელმწიფე იმპერატორმა ინება სჯულიერითა წესითა შედგომა და მიხედა უკანასკნელსა წერილსა სანატრელისა პაპისა ჩემისა, მეფისა მეორისა ირაკლისასა, ქორონიკონს, ჩუპბ, მაისის კე, რომელიცა უბოძა სანატრელსა მამასა ჩემსა, ძესა თვისსა, მეფესა გიორგის, რომელიცა იყო ნამდვილ დამარღვეველი თვისისა პირველისა ანდერძისა, რომელსაცა სასინანულოდ აღსჩენოდა უკანონოჲ პოლიტიკა დასამყუდროებელად აღბორგებულთა პირის=პირ მეფესა და სამეფოჲსა და სხვა. (იხ. „საქართველოს სიძველენი", ტ. მე-3, გვ. 310).

მაგრამ ხიფათის თავიდან ასაცდენად, რუსეთის გავლენის და მისი სტიქიურ ექსპანსიის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად, არც ეს კმაროდა. ამის გარანტია მარტო ის უნდა ყოფილიყო, თუ გიორგის მეფობის დროსაც დარეჯანი დედოფლად დაშთებოდა...

როგორც ვსთქვით, დარეჯანი ერეკლეს ღრმა მოხუცებულობისას, მისი მძიმე სნეულების გამო, თითქმის სუვერენულად განაგებდა საქართველოს საქმეებს; და განა ფხიზლობა და შორსჭვრეტა აკლდა ამ დედოფალს, დედას 20 შვილისას, რომელსაც 48 წლის მანძილზე ყველაზე უფრო ახლოს და ბეჯითად შეესწავლა მხცოვან და ბრძენ მეუღლისა და მეფის აზრები და პოლიტიკა? მაშ რად უნდა გადაეყენებინათ ის?

საკითხი თითქმის მარტივად იდგა და ერის ინტერესიც ამასვე მოითხოვდა. მაგრამ ტრადიცია, რომელიც უფრო უხუცესია და სუვერენიც, სულ სხვას ეუბნებოდა ხალხს:—ამ ახალ მეფეს ხომ თვისი საკუთარი ცოლი ჰყავდა; მერე და რად არ უნდა ყოფილიყო სწორედ ის დედოფლად? განა არ კმაროდა, რომ მარიამი 16 წელი ელოდა ამ დედოფლობას? მართალია, დედოფალი მარიამი მოკრძალებით განზე იდგა, ერეკლეს ცხედარს გულით დასტიროდა და ერის ამ დიდი გლოვის დროს თვისი „გადედოფლებაზე" და ბატონ დედოფალ დარეჯანის მეტოქეობაზე ნაკლებად ფიქრობდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ მის მაგიერ ეხლა მისი მეუღლე განსაკუთრებითი მხნეობას იჩენდა; მარიამის „მოკრძალება" საქმეს ვერ წაახდენდა. მას ბევრიც რომ დაეთმო დარეჯანისათვის, გიორგი არას დასთმობდა და გიორგის სიტყვა დღეს ხომ ირაკლის იდუმალი ხმაც იყო, ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ თავის დროზე დიდებულ ერეკლესაგან საქვეყნოდ აღიარებული სამეფო ღირსებანი გიორგისა:

„ოდეს განჯაზედ გაილაშქრა მეფემან ირაკლი, მაშინ მეფის ძე გიორგი განაგებდა სამეფოსა. დიდათ ბეჯითად იშველებდა ურმებსა,

ტყვია-წამალსა და კაცთა ცხენოსანითა. იტყვიან დამსწრენი: განაკვირვა სარდალი და თვით მეფეო... დაბრუნებულმან განჯით, მეფემ მოუძღვნა სახალხოთ დიდი მადლობა და ბრძანა: „შვილი ჩემი გიორგი დიდი მეფე იქნებაო“. (იხ. პლ. იოსელიანი „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“, გვ. 50).

მარიამის საკითხში გიორგის ახლა რყევა არ შეეძლო; ამ სიმტკიცეს ითხოვდა სასახლის და დინასტიის ინტერესი და ამ ინტერესის ღალატი იქნებოდა ეხლა მისი მეუღლის, მარიამის ჩრდილში დაყენება.

ის ურყევი ნება და სწრაფი მოქმედება, რაიც მაშინ გიორგიმ საქართველოს ანახვა, დედოფლის გვირგვინის მოგება იყო თავმდაბალ მარიამისთვის. გიორგის ამ სიმტკიცემ და ნებამ მრავალი გამდგარნი შეაფიქრიანა და გეზი შეაცვლევინა ახალ მეფის სასარგებლოდ ფიცის მიცემით...

როგორც აღნიშნული გვქონდა, გიორგიმ ჯერ კიდევ ყაზახ-ბორჩალოში შეიტყო მამის გარდაცვალება; სამძიმრების განცხადების შემდგომ მან სამეფოდ განმზადების მილოცვები მიიღო ქართლ-კახეთის წარჩინებულთა და მოხელეთაგან; 22 თებერვალს ის უკვე თელავს მიბრძანდა 130 წარჩინებულ ცხენოსანთა მხლებლობით; დიდებული მამა ღირსეულად გამოიტირა, პანაშვიდი გადაიხადა, სამძიმარი მოახსენა დაქვრივებულ დარეჯანს და მყისვე, ყველასათვის მოულოდნელად, ტაძარშივე სამეფო აქტის შესრულება ჰყო... „უბრძანა მღვდელმთავართ და კარის კაცთა, დასდვან ეკლესიაში საწიგნე და მასზედ ჯვარი, სახარება და ფიცისა ფურცელი (აქვე ეკლესიასა შინა ესვენა გვამი ირაკლისა)... და შეჰფიცონ მას **წერილითა**, ვითარცა მეფესა და სჯულიერსა მემკვიდრესა...“*).

დიდებულ ერეკლეს ცხედარის წინაშე ასეთი გამოწვევა, საქართველოს ერთგულებისთვის ფიცს უდრიდა; ყველანი გიორგის მტკიცე ნებას დაემორჩილენ და სამზადისი დარეჯან დედოფლის მომხრეთა ერთბაშად ჩაიშალა. მაგრამ გიორგის ამ უმძიმეს და საპასუხისმგებლო წუთში ბაგრატიონთა სიდარბაისლე არაფრით დაურღვევია: თითქოს ყველაფერი ეს ქვეყნის ინტერესებისათვის და მხოლოდ ნებაყოფლობის ქვეშ ხდებოდა: „ძალათა არა“,—იტყოდა მეფე „ვისაც სურს ჰფიცონ ერთგულად და აღმიარონ მეფეთ“, და როცა მისი მოწინააღმდეგე ოსეფა ყორღანაშვილი დარეჯანის სასახლეში დაიმალა, მეფემ არ ინება მისი იქედან ძალად გამოდევნა და შეპყრობა... „შესწუხდება დედა ჩემი,“ ამბობდა მეფე, „მოხუცი განიგმირება და იტყვიან, მეფე გიორგი ნერონი არისო; დედა შეურაცხყოო.*) გიორგი მეფის მიერ ამ პირველი ბრძოლის მოგება, მარიამს თავის-თავად გამარჯვებას აკუთვნებდა; მაგრამ ის განსაკუთრებულის სიდინჯით შეხვდა ამ „ამბებს“ და ვერც შემდეგმა გასაოცარმა ნაბიჯმა, (ძალა-უფლების ხელში ჩაგდების წადილმა, ცოტა მოუფიქრებლად რომ გადაადგმევინა დარეჯან დედოფალს), შეაცვლევინა ახალგაზრდა მარიამს თვისი დარბაისლური დუმილი და ლოდინი... ეხლა მისი საყვარელი მეფე უდავოდ ტახტის მპყრობელი გამხდარიყო და აბა ვის დაუთმობდა ის დედოფლის გვირგვინს, თუ არა მის მეუღლე მარიამს... და მეფემ მოკვეთით, ირონიული პასუხით თავშივე ჩაკლა დარეჯნის ახალი პრეტენზიები... მოციქულებს, დარეჯანმა რომ მიუგზავნა გიორგის:—„მეფის შემდეგ ეკლესიაში მე უნდა მომიხსენიონ დედოფლადაო,“ გიორგიმ „შეწუხებით“ უპასუხა: „მეწალე და მისი ცოლი, მექუდე და ცოლი მისი **ერთნი არიან ქორწინებითა...** არა შეიძლება მათი დაშორებაო...“**) და აბა მეფესთან დაქორწინებული რად არ უნდა მოეხსენებინათ დედოფლად? რა საბუთით უნდა დაშთენილიყო დარეჯანი გვირგვინოსანად? ეს ყველაფერი იმდენად მარტივი იყო, რომ სიმართლეს ბოლოს თვისი უნდა გაეტანა და მშვენიერ მარიამს ბრძოლაში ჩარევა მართლაც არ სჭიროდა...

ხოლო თუ კიდევ საჭირო იყო რაიმე უმაღლესი განაჩენი ამ უსამართლო დავის გადასაჭრელად, ეს განაჩენი ეხლა თვით ქართველ ხალხს უნდა გამოეტანა; და ფრთხილ სამღვდელოებას აქაც გამოუჩენია სიდარბაისლე ზოგიერთ უკმაყოფილოთა დასამშვიდებლად, და მას ხალხისათვის იმგვარივე კითხვით მიუმართავს, რომელიც მეფის ირონიულ მაგალითს არ ჩამოუვარდება.

ეს ეპიზოდი ისტორიკოს დუბროვინის წიგნიდან ჩვენ ქვევით მოგვყავს. ფხიზელი გონება და ერის სადღეისო ინტერესი ხელ-ახლად დაეჯახა ისტორიულ სინამდვილეს, ტრადიციას და დედოფალი დარეჯანი კვლავ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა; მას ეხლაც უნდა დათმობის

*) იქვე, გვ. 50.

*) იქვე, გვ. 51.

**) იხ. პლ. იოსელიანის „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“, გვ. 51.

გზა ძნელია; ბრძენის გზა ისევ ის ძველი, შეგუების და სახელმწიფოთო დაჯახების აცდენის გზა იყო.

როგორც ვსთქვით, ისტორიკოს დუბროვინს მოჰყავს ანეგდოტის მგზავსი ეპიზოდი, გადამწყვეტ წუთში ამ ჩიხიდან გამოსასვლელი გზა მარტივათ რომ გახსნა.

ერეკლეს მდივანმა სულხან თუმანიშვილმა წარჩინებულთ და საერთოთ ხალხს, დედოფალ დარეჯანის და კატალიკოსის დავალებით ეს აზრი მოახსენა (დარეჯანის დედოფლად დატოვებისა) და თანხმობა ითხოვა. ყველანი სდუმდენ... მაშინ არქიეპისკოპოსი ჩოლოყაშვილი, ყოფილი მოძღვარი გიორგი მეფისა, მიმართავს ხალხს მარტივის და ცბიერის კითხვით:

— ხალხნო, გზირმა რომ ქალი შეირთოს, რა სახელი უნდა ვუწოდოთ ამ ქალს?

— „გზირის ცოლით“. მიაძახეს მას...

— მაშ, როგორ გინდათ, რომ მეფის მეუღლეს დედოფალი არ ერქვასო.“*)

ხალხის ხმამ რყევას ბოლო მოუღო... ბრძენმა დარეჯანმა დარბაისლურად უკან დაიხია და მან მეფე-დედოფალი დალოცა...

მარიამმა, რომელიც ამ ამბების გარეშე იდგა, ბრძოლა საბოლოოდ მოიგო, ანუ ის სხვებმა მოიგეს საქართველოს ისტორიის სახელით და მას დედოფლობა ხვდა.

მაგრამ იმდენად დიდი და ძლიერი იყო დარეჯანის ავტორიტეტი, რომ მარიამი ჯერ კიდევ ნომინალურად თუ ატარებდა ქართლ-კახეთის დედოფლის სახელს. დარეჯნის ძალა ძველებურად მტკიცე დარჩა და მისი მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც ამას ანგარიშს უწევდნენ...

თვით გიორგი მეფემაც ვერ მიიყვანა ბოლომდე მარიამის გადედოფლების საქმე და ალამი დედოფლისა პატივცემულ დარეჯანს ჯერ მთლად ვერ ჩამოაცილა. მეფემ მას არ ჩამოართვა დედოფლის სახელი, ადგილ-მამული, რაიც წესით ეხლა მარიამზე უნდა გადასულიყო. დარეჯანმა ეს მოპყრობა ღირსულად დააფასა და ყოველ გვარ უთანხმოების მოსპობა მოინდომა; ის მეფეს შეურიგდა და გაუგზავნა სამემკვიდრო ყველა ძვირფასი ნივთები და სახლის ხატები იშვიათის სამკაულებით. მრავალი ამათგანი, რაც დედოფალ დარეჯანს მეფე ერეკლეს დროს საჩუქრად ხვდებოდა, ეხლა ვითარცა ემბლემა დედოფლისა, მარიამს გადასცა.

მაგრამ გიორგი მეფემაც სულგრძელობა გამოიჩინა და მთელი ეს განძეულობა დარეჯანს უკან აახლო; მან მხოლოდ ხატი დატოვა.

*) იხ. დუბროვინი, „მეფე გიორგი მეცამეტე“ გვ. 57.

ამ შემთხვევაში ეს მეფური ზვიადობა გიორგისა, დედოფალ მარიამის ხარჯზე, ხდებოდა.*).

მართალია, მალე მდგომარეობა შეიცვალა: დარეჯანისა და მეფის შუა ისევ უთანხმოებამ იჩინა თავი და ბოლოს დედოფლისათვის განწესებული მამულები დარეჯანს მეფემ მაინც ჩამოართვა, მაგრამ ამ ამბებშიაც მარიამს არავითარი ბრალი არ ედო, ყველაფერი ეს ხდებოდა იმავ „სასახლისა და დიდი პოლიტიკის“ სახელით... თითქოს ბედმა ეხლაც მხოლოდ „გათამაშება“ ისურვა დედოფლისა: გვირგვინიც დაადგა, სასახლეც მიუჩინა,**) მაგრამ ყველა ეს დედოფლურის შესაფერისის პატივითა და დიდებით არ იყო შემკული; სადგომი და სასახლე დედოფლისა დარჩა მისთვის უსულოდ და უშინაარსოდ...

*) იხ. დუბროვინი, „გიორგი მეცამეტე“ გვ. 38.

**) გავიხსენოთ მაინც უნდა, როგორც პლ. იოსელიანი თვითონ გვეტყვის — „დაუკარგველობისათვის ამისა“ ეს სადგომი მაშინდელ დედოფალთა: „დედოფლისა სადგომნი უმეტეს იყვნენ მორთულნი მშვენიერად და ძვირფასად. გარემო ოთახებისა, თახჩებისა იდვნენ მრავალნი სხვათა და სხვათა ნაკვეთთა ჩინურნი ჭურჭელნი და ვერცხლეულნი მრავლად. ზემოისა სახლისა ნაჭერნი სადგურნი (ე. ი. ოთახები) იყვნენ 22 და ქვემოსა სახლისა, სადგურად მსახურთა და მხლებელთა პირთა 22—ვე...“ და სხვა. (იხ. პლ. იოსელიანის „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“, გვ. 38).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

**თამარ და აკაკი პაპავა.**

---

***

მიყვარს სიცოცხლე, სიკვდილისგან არას მოველი.
სამარის კართან მწამს თავდება არსი ყოველი.
მაგრამ მზადა ვარ როს სამშობლო ამას მოითხოვს
კავკასიონი ჩემს საკუთარ სისხლით მოირწყოს.

თუ შენ—მამულო ჩემი სისხლი გამოგადგება
(მოვალეობა მიკარნახებს არა დიდება).
როს შენი წყლული შვილთა სისხლზე უნდა აცრას
დანის ერთ მოსმით მზად ვარ ყველა ძარღვი დავიჭრა.

გ. წერეთელი

## გერმანელი მოგზაურის იოჰან — ანტონ გულდენშტედტის თხზულებაში აღწერილი სამი ქართული ხალხური ჩვეულების შესახებ *)

**1772 წ.**

(გაგრძელება)

პირველი ტომი გამოიცა 1787 წ. მეორე 1891 წ. ს.-პეტერბურგში. სამწუხაროდ, პირველი ტომი, სადაც საქართველოც არის შეტანილი, ცუდათაა გამოცემული, მრავალ სტამბურ შეცდომებს შეიცავს და უშვერი შრიფტით არის დაბეჭდილი, მაშინ, როდესაც მეორე ტომი, შედარებით პირველთან, საუკეთესოდ არის გამოცემული. პალლასის შემდეგ იმავე თხზულების ერთი ნაწილი 1815 წ. ბერლინში გამოსცა ცნობილმა ორიენტალისტმა იულიუს ფონ კლაპროტმა. გამოვიდა მისი რუსული თარგმანიც**).

„საზოგადო გერმანული ბიოგრაფია" ი. ა. გულდენშტედტის ბიოგრაფიას ამ სიტყვებით ამთავრებს: „კავკასიის და მისი ხალხების ცოდნას მის მიერ ჩაყრილ საფუძვლებს უნდა ვუმადლოდეთ"-ო.**) ქართველმა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ი. ა. გულდენშტედტის თხზულება თავის შრომებში მრავალმხრივ გამოიყენა, მას ასეთი შეფასება მისცა: „იმისდა მიუხედავად" რომ განათლებით ექიმი და ბუნებისმეტყველი იყო, **გულდენშტედტს ფართო და მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესი ჰქონდა** და ნანახი ქვეყნების ყოფა - ცხოვრება და ვითარება მარტო თავისი სპეციალობის თვალსაზრისით კი არ აქვს აღწერილი, არამედ მას პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვა - მხრივი მდგომარეობის დახასიათებისათვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია. ყოველ მის ცნობაში განსწავლული, ჭკვიანი დამკვირვებელი მოჩანს... **მას ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობის გასათვალისწინებლად და დასახასიათებლად ისეთი ცნობების შეკრება შეეძლო, რომლის მსგავსს სხვა მოგზაური ვერ გაიგებდა.** ამიტომ გულდენშტედტის ნაშრომი იმდენად უხვსა და ძვირფას ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ, რომ მკვლევარისათვის აუცილებელ წყაროს წარმოადგენს."***)

როგორც ცნობილია, რუსეთს უკვე მე- 16 -ე საუკუნიდანვე ჰქონდა საქართველოსაკენ მიპყრობილი თვალი და მასთან დიპლომატიური ურთიერთობაში იმყოფებოდა თვით ქართველებისავე წამოწყებით. ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა განსაკუთრებით მე - 18 - ე საუკუნეში გაიზარდა. ამ დროს რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები სამხრეთით მდებარე ქვეყნებისაკენ ლტოლვისა უკვე ყველასათვის ნათელი გახდა. იმპერატორი ეკატერინე მეორე, საქართველოში, ვითარცა კავკასიის ცენტრალურ სახელმწიფოში, ამ ქვეყნის ყოველმხრივ შესასწავლად და დასაზვერავად მრავალ საგანგებოდ გაწვრთნილ ემისრებს გზავნიდა. თითქოს ქართველ მეფეთა დასახმარებლად მის მიერ გამოგზავნილ სამხედრო პირებს სინამდვილეში სხვა უფრო მნიშვნელოვანი, მათთვის პირველ რიგში დასაყენებელი, დავალებები ჰქონდათ მიცემული; რუსეთის საიმპერატორო მთავრობიდან წარმოგზავნილ ყოველ პიროვნებას, სამხედრო პირი იქნებოდა იგი თუ ელჩი, მეცნიერი თუ ვაჭარი, თავისი განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა, რომელიც საბოლოო ჯამში ემსახურებოდა იმპერიის სამხრეთისაკენ ზრდის საქმეს. — პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის „წმიდა მეცნიერული" მოღვაწეობაც საბოლოოდ ამ ჯამში თავსდებოდა.

მაგრამ იყვნენ ისეთი მეცნიერები, რომელნიც სიმპათიით მოილტვოდენ ამ უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის, მითების და ლეგენდების, რაინდობისა და ძველ ჩვეულებათა ქვეყნებში. ისინი ასრულებდენ მათი მბრძანებელი მონარქების სურვილს, მაგრამ მათ მიერ შემოვლილ ქვეყნებიდგან თან მიჰქონდათ ამ ქვეყნების ხალხთა ღრმა პატივისცემა და სიყვარული. ასეთთა რიგს ეკუთვნოდა იოჰანნ - ანტონიც. მისი თხზულების გულდასმით შესწავლამ დაგვარწმუნა ავტორის კეთილ - სინდისიერებასა და პატიოსნებაში, შორეული გერმანელის, ვითარცა ევროპიელის, სიყვარულსა და დაფასებაში, რომლითაც იგი საქართველოში მოვიდა. მისი დღიური შენიშვნები და ჩანაწერები განმსჭვალულია დინჯი და დარბაისელი მოყვრის სულით. იგი მოვიდა საქართველოში არა როგორც „სახელგატეხილი მზვერავი", ქვეშ - ქვეშ გა-

---

*) იხ. დასაწყისი „ბედი ქართ." № 1.

**) იხ. ზემოდ დასახელებული წიგნი.

***) იხ. ივ. ჯავახიშვილის „საქ. ეკონომიური ისტორია", წიგნი I. გვ. 122 — 123. თბილისი, 1930 წ. — ხაზგასმა მისივეა.

მზვერავი და გვერდელა აგენტი, არამედ სათნოებით განწმენდილი სულით და გულით. მისი წარდგომა, თაყვანისცემა, ფორმალური მიმართვა ქართველ მეფეთადმი იყო და ნიშნავდა იმასვე, რასაც იგი სჩადიოდა თავისი უშუალო მბრძანებელი იმპერატორის მიმართ. ქართველ მეფეებს ერეკლე მეორეს ან სოლომონ პირველს, იგი როგორც ევროპიელი, შეიძლება ითქვას, „ნათესაური“ გრძნობით ეკიდებოდა, ხედავდა რა საქართველოს სახით ევროპის გაგრძელებას ან წინაუკუმო. გულდენშტედტი აღტაცებით და იმავე დროს მწვავე გულისტკივილით შესცქეროდა ათასობით ციხე - კოშკებს, ეკლესიებს, ზოგთ მთელთ, ზოგთ დანგრეულთ, თვალს ავლებდა და აკვირდებოდა ქართულ ფეოდალურ წესწყობილებას, რომელიც ასე საოცრად ჰგავდა ევროპიულს; აკვირდებოდა ხალხს, მის ხასიათს, ზნეს და ჩვეულებას, და ყოველივე ესენი ერთს დიდ წარმოდგენას ჰქმნიდენ მის გონებაში ქართველი ერის შესახებ.

1772 წ. 3 და 4 მაისს იგი მუხრანში იყო. ბინა მისცეს მუხრანბატონის 200 წლიან, გალავანშემოვლებულ ფეოდალური ტიპის მაღალ კოშკში. კოშკის თავიდან გადმომდგარი იოჰანნ - ანტონი გადასცქეროდა ძველ ქართლს, საქართველოს გულს, რომელიც ხელისგულივით გადაშლილიყო მის თვალწინ, მისი ველ - მინდვრებით, მდინარეებით და მაღალი მთებით, მთის კორტოხზედ წამოდგმული ციხე - სიმაგრეებით, ეკლესიებით, ფერდობებზედ გაშლილი სოფლებით, და იგი სწორედ ამ სურათში ჰხედავდა მკვიდრ „ნათესაობას“. შეიძლება ამ დაუვიწყარი სურათისაგან გამოწვეული გრძნობის შედეგი იყო, რომ მუხრანში ყოფნისასვე მას ერთი კლდის კირქვიან ქანზედ ამოუჭრია თვისი სახელი და გვარი და თარიღი: „4 მაისი 1772 წ.,“ რომელიც 35 წლის შემდეგ მეორე გერმანელმა მოგზაურმა, იულიუს ფონ კლაპროტმა, შემთხვევით იმავე ადგილზე გამვლელმა შენიშნა და თავის თხზულებაში მოიხსენა. ფეოდალური ეპოქის ასეთი ტიპიური სურათები მის ტრიალ მინდვრებისა და უსულგულო სტეპების ქვეყანა რუსეთში არსად უნახავს. ამგვარი სურათები მას არ აოცებდა; ისე როგორადაც შეიძლება ნამდვილი რუსი გაოცებულიყო; მისთვის იგი შინაური და ახლობელი იყო.

გულდენშტედტი დიდათ კმაყოფილი იყო იმ ყურადღებით და განწყობილებით, რომელსაც საქართველოს მეფეები და მათი დიდებულები იჩენდენ მისდამი პირადად, და საერთოდ მისი სამეცნიერო ექსპედიციისადმი. ერეკლე მეორემ იგი თბილისში რამოდენიმეჯერ თავის სასახლეში მიიწვია, ახალწელიწადსაც სტუმრად ჰყავდა თვისთან და მაშინ გააცნო თავისი ოჯახი: დედა, მეუღლე და ბატონიშვილები. გულდენშტედტმა, როგორც ექიმმა მეფის დედას რჩევა - დარიგება მისცა ამ უკანასკნელის ძველი სნეულების თაობაზედ, რითაც თვით გულდენშტედტი ბედნიერად სთვლიდა თავს. თვით მეფემ მრავალჯერ გაუმართა საუბარი, იჩენდა დიდ მოწყალებას მისი ექსპედიციისადმი, უყვებოდა თავისი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე ირაკლი, თურმე, განსაკუთრებით პრუსიის ომებით დაინტერესებული ყოფილა.

გულდენშტედტი აღნიშნავს ქართულ პურმარილიანობას და სტუმართ-მოყვარეობას. თვით უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებმა: იმერეთის მეფემ და ბატონიშვილმა განსაკუთრებულად მიიღეს სტუმარი იმერეთში. როდესაც იგი რაჭაში, სოფელ წესში, რაჭის ერისთავების რეზიდენციაში შეხვდა უფლისწულს ალექსანდრეს, სოლომონ მეფის ძეს, ამან უცხო სტუმარი, თუმცა სტუმარს არ უნდოდა კადნიერება გამოეჩინა, გვერდით დაისვა და მასთან და სხვა დიდებულებთან იპურმარილა. მერე გულდენშტედტი იმ დროს რაჭაში მყოფს თვით მეფეს სოლომონ I-ს შეხვდა. ამის შესახებ აი რას მოგვითხრობს იგი: „18 - 7 - 1772 წ.... წკადისთან*) შემოგვეგება მეფისაგან გამოგზავნილი აზნაური დავით კვინიხიძე, რომელიც გასულ წელს მეფის ელჩად ყოფილიყო პეტერბურგში, რათა მე და უფლისწული ალექსანდრე მივეყვანეთ მეფის ბანაკამდე სოფელ სხარტალში, რომელიც რამოდენიმე ასი ნაბიჯით იყო დაშორებული სოფელ წკადისიდან და მდებარეობდა მაღალი მთის ვაკეზედ. საღამოს მეფე სოლომონმა შემატყობინა, რომ ჩემთან სადარბაზოდ მოვიდოდა. **მე ღირსი გავხდი იმ პატივისა, რომ** მეფე უფლისწულთან, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთან**) და მასთან მყოფ თავადებთან ერთად

*) ქვემო რაჭაში მდებარე სოფლის სახელწოდებაა.

**) ნიკორწმინდა დიდი დაბაა ქვემო რაჭაში სადაც ცნობილი დიდებული ხელოვნების ეკლესია დგას. (აშენებულია ბაგრატ IV-ის მიერ, მე-XI-ე საუკუნის პირველ ნახევარში), აქ იჯდა მთელი რაჭის ეპისკოპოსი, ნიკორწმინდის საეპისკოპოსო გააუქმეს რუსებმა 1820 წელს, რაჭის დიდი ამბოხების შემდეგ.

ჩემ კარავში მობრძანდა სადარბაზოდ. **იგი გადამეხვია მე გერმანული გულწრფელობით და ცხადი სიხარულით.** ჩვენი საუბრის დროს, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, მან თავისი უდიდესი სურვილი მაჩვენა ჩემგან განზრახულ მოგზაურობათათვის მის ქვეყნებში ხელი შეეწყო*).

აქ აღნიშნულ „გერმანულ გულწრფელობასა“ და „ცხადად გამოხატულ სიხარულში“, გულდენშტედტი სწორედ იმ უუძველესი სულიერი ნათესაობის კვალს ხედავს, რომელიც საქართველოსა და ევროპას შორის მუდამ არსებობდა.— მეფისა და უფლისწული ალექსანდრეს საქციელი არ იყო „თავის დამდაბლება“ ან „ფეხქვეშ განრთხმა“ უცხოელის მიმართ, როგორც ეს შეიძლება ზოგიერთს მოეჩვენოს, არამედ ნამდვილი, ძველებური ქართული მოპყრობა სტუმრისა, ის ცნობილი „იმერული ზრდილობა“, ის გულღია ქართული მიხალისება და რაინდული ქცევა, რომელიც ძველ საქართველოს ასე კარგად სჩვეოდა. ეს საქციელი გულდენშტედტმაც კარგად გაიგო და ამიტომ უწოდა მას „გერმანული გულწრფელობა“, ესე იგი ევროპული. მას იგი არც გაჰკვირვებია, რადგან ბუნებრივ მოვლენად სთვლიდა, ვითარცა ევროპის მიწაზედვე ფეხმდგომი,—მყოფი საქართველოში.

იოჰანნ-ანტონს თავის დღიურში არსად გადაჭარბებულად და განგებ ხაზ გასმულად არ აქვს ეს და ამის მსგავსი ამბები აღნიშნული. პირიქით, იგი ხშირად ძალიან მარტივად და მოკლედ აღწერს ხოლმე მათ და თუ არ დააკვირდა კაცი, შეიძლება ვერც შენიშნოს ეს ფრიად ნათელი კონცეპცია მოგზაურისა. მაგრამ ვინც გულდენშტედტის მოგზაურობას გულდასმით ჩააკვირდება და მის, განსაკუთრებით, ფსიქოლოგიურ მხარეს შეისწავლის, ზემოთქმულ კონცეპციას უსათუოდ შენიშნავს.

იოჰანნ-ანტონი საქართველოში 1771 წლის სექტემბერში ჩამოვიდა. მაშასადამე მაშინ იგი სულ 27 წლის ყოფილა. 1772 წლის ივლისამდე მან მოიარა და შეისწავლა მთელი აღმოსავლეთი საქართველოს მთავარი მხარეები; 1772 წლის ივლისიდან დაიწყო მოგზაურობა იმერეთში. ცხინვალის გზით შევიდა ჯერ რაჭაში, საიდანაც ჩამოვიდა იმერეთში და შეისწავლა ეს ქვეყნები და აღწერა დაწვრილებით. სამწუხაროდ დასავლეთ საქართველოში მან მხოლოდ იმერეთის სამეფო მოიარა, ე. ი. რაჭა, არგვეთი, ოკრიბა და ვაკე. მას განზრახული ჰქონდა და გულით სურდა მოევლო გურია-სამეგრელო-აფხაზეთი, მაგრამ ეს არ მოხერხდა მაშინდელი თურქულ-ქართული ურთიერთობის სიმწვავის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების მთავრებსაც ძლიერ სურდათ ამ უცხო, სასარგებლო სტუმრის მიღება, მათ ეს ვერ გაბედეს „თურქული საბრთხის“ შიშით. ამის გამო გულდენშტედტმა თვით იმერეთის სამეფოს ორგანიული ნაწილი, პატარა პროვინცია ლეჩხუმიც კი ვერ მოიარა, რადგან ეს პროვინცია იმ მომენტში დადიანის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. სვანეთში-კი გულდენშტედტი ვერ წავიდა უგზოობისა და შესვლის სიძნელის გამო, არც თვით მეფემ ურჩია წასვლა. ყველა ამ პროვინციათა შესახებ ცნობები გერმანელმა მეცნიერმა იმერეთში შეკრიბა და უნდა ითქვას, შესაფერისად და კარგად, რაც კი შესაძლებელი იყო. სვანეთის შესახებ ცნობები მოგზაურმა რაჭასა და იმერეთში შეკრიბა, გურიის შესახებ რაჭაში, მეფის ბანაკში მყოფ შემოქმედელ ეპისკოპოსს გამოჰკითხა და სამეგრელოს შესახებ შეიტყო თვით მეგრელებისაგან, რომელთაც იგი შეხვდა ხონში ბაზრობაზედ.—

გულდენშტედტს თავისი მოგზაურობა და სამეცნიერო დაკვირვებანი, მიუხედავად რუსეთის მთავრობიდან და თვით ადგილობრივად საქართველოს მეფეთაგან დიდი დახმარებისა, მაინც დიდი სიძნელეების გადალახვით უხდებოდა. იმ დროის ლეკთა თარეში თვით სიცოცხლესაც საბრთხეში აყენებდა და მძიმე სატრანსპორტო პირობებიც საქმეს აფერხებდა. მას ამ უცხო ქვეყანაში გაჭირვება ყოველთვის კარს ადგა. ყოფილა ავადაც. იგი რომ ახალგაზრდა, ენერგიული, ბეჯითი და მშრომელი არ ყოფილიყო, იმ პირობებში სხვა იმის მეათედსაც ვერ გააკეთებდა, რაც იოჰანნ-ანტონმა გააკეთა*). ხშირად შექმნილი მძიმე პირობები მის დღიურებში გავლენას ახდენდა და იგი ამიტომ მოკლე და მარტივია, ხშირად კი ვრცელი და საინტერესო. თხზულების მთელი ტექსტის ნახევარი დღიურებს უჭირავს, ამდენივე კი საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა აღწერილობას, მის ყო-

*) იხ. 18 ივლისის 1772 წ. დღიური.

*) იგი არ იყო უბრალო მოგზაური, რომელიც „ჩვეულებრივ თარჯიმნის ხელში ვარდება“ და ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული მისი კვლევაძიების ბედიც, არამედ გულდენშტედტს თავის სწავლა-განათლებასთან ერთად, შეეძლოდა მისი მახვილი გონება და ინტუიცია.

ველმხრივ ზოგად მიმოხილვას. ავტორს რომ მის მიერ შეგროვილი მდიდარი მასალის საკუთრივ დამუშავება დასცლოდა, უეჭველია იგი ფართოდ გაშლიდა ყოველ საკითხს და ჩვენ დღეს გაცილებით უკეთესი შრომა გვექნებოდა ხელთ, ვიდრე ამჟამად გვაქვს. მისი უდროო სიკვდილის გამო, აკად. პალლასმა შეგროვილი მასალა პირვანდელი სახით გამოსცა ისე, როგორც იოჰანნ-ანტონს კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ დარჩა. მიუხედავად ამისა, გულდენშტედტის ნაწარმოებში მრავალ მნიშვნელოვან მასალას იპოვნის განსაკუთრებით მკვლევარი მეცნიერი, თუმცა არც უბრალო მკითხველი გადასდებს მას გვერდზედ და სიამოვნებით, შეიძლება მოუწყენლადაც,—მოწყენას კი სამეცნიერო ტერმინების სიმრავლე ჰქმნის ხოლმე,—გადაიკითხავს.

ჩვენ განზრახ გავუკეთეთ ამ წერილს ვრცელი შესავალი, რადგან განზრახული გვაქვს მკითხველს ხშირად გავუზიაროთ ი. ა. გულდენშტედტის მოგზაურობიდან ამოკრეფილი, ჩვენი აზრით საინტერესო ცნობები, რომელთა გარკვევისა და შეფასებისათვის ეს ვრცელი შესავალი უსარგებლო არ იქნება*).

ამ წერილს ვურთავთ სამი ქართული ხალხური ჩვეულების აღწერას, რომელიც პირდაპირ გადმოვთარგმნეთ დედანიდან.

ადამიანის არსებობაში სამი მთავარი მომენტია: მშობიარობისა, ქორწინებისა და გლოვისა. ა. ი. გ-ტის მოგზაურობის აღწერილობაში მშობიარობის შესახებ არაფერი გვხვდება; ქორწინების და გლოვის წესების შესახებ კი საინტერესო ჩანაწერი მოგვეპოვება. ამ წესთა აღწერა ა. ი. გულდენშტედტის მიერ, რა თქმა უნდა არ არის სრული; ეს მას არც შეეძლო, მაგრამ მთავარი მაინც კარგად არის გადმოცემული. მას შემდეგ 180-მდე წელმა განვლო, ეს ქართული ხალხური ჩვეულებანი საგრძნობლად შეიცვალენ, ზოგიერთი რამ კი სრულებით გადავარდა და უკვე დიდი ხანია აღარავის ახსოვს. გულდენშტედტის მოწოდებულ ცნობებში ისეთი ჩვეულებაც არის აღნიშნული, რომელიც სხვა ქართულ წყაროებში არ გვხვდება, ამის გამო მეცნიერ ეთნოგრაფს დასჭირდება კვლევა-ძიება აწარმოოს, როგორც წერილობით წყაროებში, ისე ხალხში, გულდენშტედტის ცნობის შესამოწმებლად, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი მეცნიერი სანდო პიროვნება იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ექ. გივი კობახიძე

---

***

ღმერთო ისმინე ვედრება
ბედისგან განამწარისა,
მოტრფიალე და ერთგულის
თვისი ტანჯული მხარისა.

ისე ნუ მომკლავ, ვერ ვნახო
კაშკაში ჩვენი მთვარისა,
ვერ გავიგონო ქვითინი
სისხლით შეღებილ მტკვარისა,

სვეტიცხოველზედ პრიალი
კვერით ნაჭედი ჯვარისა,
სიონის მხრიდან გრიალი
ათასი წლიან ზარისა.

დიდუბის ველზედ ლაღობა
ქართველთ უშიშარ ჯარისა,
ღმერთო ისმინე ვედრება
ბედისგან განამწარისა!

მიხეილ დადიანი

---

## ცრემლის კუპლეტები

როცა ლრუბელთა აქარავნებას
წინ გაუძღვება სულის ჩივილი,
მაისის ვარდის გაუშლელ ვნებას
ჩაჰკლავს გადაღმა ჭოტის კივილი,
მაშინ ამცნობენ დედის ძუძუებს
ნაშობის სიკვდილს ღრუბელთ ცვარები;
ღვთაებავ! დედაც სულს მოგაბარებს,
გუგუნს ჩაჰკლავენ კვნესით ქნარები.

***

ვიდრე ვაჟას მთა, ის დალოცვილი,
ზღაპრულ ლეგენდებს არ გამაგონებს,
ჩემი ცხოვრება აზრგამოცლილი,
ყოველ ცისმარეს მე დამალონებს.
თუ კი სამშობლოს მზე, მოელვარე,
დამაფრქვევს კიდევ ოქროსფერ სხივებს,
მკვდრეთით აღვზდგები, საფლავს მძინარე,
ქართულ მუსიკის ჩამოვკრავ სიმებს.

ა. დ - ძე

---

*) ი. ა. გ-ტის შრომის ქართული თარგმანის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი არსებობს, სახელდობრ: „უწერის მინერალური წყლები“. მთლიანი თარგმანი კი ჯერ არავის უცდია.

# ქრონიკა

### ბ. ნოე ჟორდანიას მემორანდუმი

ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ გაახსენა თავისი თავი მსოფლიოს: ბ. ნოე ჟორდანიამ გადასცა მემორანდუმი O.N.U.-ს დელეგატებს საქართველოს შესახებ.

---

შვეიცარიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოათავსეს ცნობა მეექვსე ტომში შოთა რუსთაველზე—სამწუხაროდ მოკლედ. გავიგეთ: შემდგენელი განუსაზღვრავთ სტრიქონების მხრით.

---

იმავე ტომში გამოქვეყნდა ცნობა გრიგოლ რობაქიძეზე. ცნობა კარგადაა შედგენილი. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვაუწყებთ მკითხველს, რომ გრიგოლ რობაქიძე „ბროკჰაუზის“ ლექსიკონშიცაა ალნიშნული.

---

იმავე ლექსიკონში (შვეიცარიის) მოთავსებულია ცნობა საქართველოზე, კარგად შედგენილი და საკმაოდ ვრცელი. შესაძლოა „სვეცებმა“ დაინახონ ერთი-ორი წვრილმანის გადახილვის საჭიროება.

---

**„ბედი ქართლისა“ გულითად სამძიმარს უცხადებს ქ-ნ უორდროპისას და მის შვილებს ბ-ონ ოლივერ უორდროპის გარდაცვალების გამო.**

ნეკროლოგი მოთავსდება მეოთხე ნომერში.

---

### ქართული გუნდი არგენტინაში

ქ. ბუენოს-აირესში დაარსდა ქართული ეთნოგრაფიული გუნდი ბ. ვ. ანდრიაძეს ხელმძღვანელობით. გუნდში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ყველა ცნობისათვის ბ. ალ. დარჯანიძეს „ბედი ქართლისას“ რედაქციაში.

---

ამა წლის სექტემბერში ბასკების მიერ მოწვეულ კონგრესზედ მეტად საინტერესო მოხსენება წაიკითხა ბ. ვახტანგ ციციშვილმა, რომლის შინაარს დავბეჭდავთ მორიგ ნომერში.

მოკლე ხანში გამოვა დრ. ვ. **ციციშვილის** შრომა გერმანულ ენაზედ: **„დი ხახული იკონე“.**

---

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა**

ჩემს წერილში, ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ („ბედი ქართლისა“ № 2), მე ვწერდი: ის ქართველი, მამა ჩემს რომ სთხოვდა თამარ-მეფესთან სასაუბროდ თან წაჰყოლოდა „თუ არა ვცდები, იასე რაჭველი იყო“ მეთქი. მიხა წერეთელი მწერს: „ერთი რამე უნდა მოგაგონო... იასე რაჭველი იყო... დიდი ხნიდან გადასახლებული ოსმალეთში და საბერძნეთში. ახალგაზრდობა იქ გაატარა, ძალიან გვიან დაბრუნდა საქართველოში. მამა შენი ცოცხალი აღარ იყო....“

ეხლა მეც მაგონდება რომ ის კაცი არ შეიძლება იასე რაჭველი ყოფილიყო. არ ვიცი იასეს სახელი ჩემს მეხსიერებაში ამ გამოქვაბულის ამბავთან შეკავშირებული რად დარჩა. მკითხველი ამ შეცდომას მომიტევებს.

**გიორგი კერესელიძე**

---

### კრებულის ფონდი

**შემოსწირეს:** ირაკლი ბატონიშვილმა—25.000 ფრ. ბ.ბ. გ. კერესელიძემ—5.000 ფრ., ჯ. გვაზავამ—2.000 ფრ., პ. კვარაცხელიამ—6 დოლარი, მ. შანიძემ 5. დოლ. ქ-ნ ქ. სტიუარტ-ლამბაშიძისამ—1 გირ. ათას-ათას ფრანკი: ბ.ბ. „ბორდოელმა“, ა. კილურაძემ, ჯ. ყანჩელმა, კობახიძემ (ავინიონიდან), გ. მაჩხანელმა, ირ. ოთხმეზურმა. ნ. მილორავამ—500 ფრ. პ. ქიტიაშვილმა—200 ფრანკი.

**სულ—38.700 ფრ., 11 დოლ. და 1 გირ.**

**„ბედი ქართლისა“** ულრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალშიაც არ დაივიწყებენ მას.

---

**კრებულის გამოწერა შეიძლება რედაქციაში.**

ნომერი ღირს: საფრანგეთში — 150 ფრ.
საზღვარ-გარეთ — 200 ფრ.

---

**რედაქტორი: კ. ს ა ლ ი ა.**
**8, rue Berlioz, Paris (16). Tél. : Passy 75-35.**

Gérant : M-me G. Laurent.
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.